საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი, 16 ოქტომბერი, 1919 წ.

# ერთობა

ფასი 2 მანეთი

გაზეთი ღირს 1 თვით 50 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 2 მანეთი, განცხადების ფასი [illegible] პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, [illegible] მანეთი. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომისა 60 მანეთი. ნისია განცხადებები არ დაიბეჭდება. რედ[აქციის] და კანტორის ადრესი: რუსთაველის პრ. № 24. ტელეფონი 16—62.

№ 235 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 235

შაბათს, 18 ოქტომბერს, სოფ. სიქთარვაში, ფრისცვალების ეკლესიაში დანიშნულია საორმოცო წირვა გერმანიაში ტყვეობის დროს გარდაცვალებულ

**კონსტანტინე მიხეილის ძე ცხადაძის,**

რასაც აუწყებენ ნათესავთა და მეგობართ რათა თავიანთი პირადი დასწრებით სცენ ნუგეში მის დამწუხრებულ მამას, ძმებს, მეუღლეს, ბიცოლას და დებს. (2699—1—1)

დავსტირი უდროოთ დაკარგულ ამხანაგს და კოოპერატორს

**ლუარსაბ ანტონის ძე სიხარულიძეს.**

ვწუხარ რომ უდროობის გამო არ მომეცა საშუალება ჩემი მწუხარება შემეერთებინა ჭირისუფალ მშობლების და ამხანაგებისათვის. არჩილ კეკელიძე. (2703—1—1)

ღრმა მწუხარებაში მყოფნი გულმოკლული მშობლები: მღვდ. იოანნე და ოლღა; ძმები: გედეონი, ბესარიონი და ნიკოლოზი, დები: ქიონია ფაჩულიასა, პარასკევა და მინადორა; ბიცოლა: ფეოდოსია ხუხუნი კალანდარიშვილისა; სიძეები: გიორგი ფაჩულია და ილია ანჯაფარიძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობართ, რომ 23 ოქტომბერს (ახ. სტ.) დილით, ხუთშაბათს ს. ლესაჯეს ეკლესიაში (სენაკის მაზ.) გადახდილ იქნება გარდაცვალებიდან წლის თავზე წირვა და პანაშვიდი უდროოდ დაკარგულის ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირის ინსტრუქტორის

**აკაკი იოანნეს ძე ხუხუნის**

სულის მოსახსენებლად. (2700—1—1)

## კიდევ ბოლშევიკები

ეს უდღეური და მოუსვენარი ხალხი მხოლოდ უბედურობის მოციქული და წინამორბედია. სადაც ისინი მოვლენ, იქ სისხლი და ცეცხლი ტრიალებს. სადაც მათი ფეხი დაიდგმება, იქ არევ დარევა—ანარქია, მღვრიე ცხოვრების ქაფები დადგება. ჩვენი ცხოვრების ზოგიერთ კუთხეებსაც ეს ხალხი სპორადიულად მოევლინება ხოლმე, რომ დემოკრატიის შინაგანი ცხოვრების გამაგრებას ხელი შეუშალონ, რომ მუშათა ბრძოლით მოპოვებული თავისუფლება საფრთხეში ჩააგდონ.

მათი მოქმედება ნებსით თუ უნებლიეთ მუდამ პროვოკაციულია. მათი ყოველი „გამოსვლა" მუდამ ჩვენი მოსისხარი მტრის, ველური, რეაქციონური ძალის უეჭველი დახმარებაა. ოსმალთა შემოსევის ხანაში ისინი ზურგში ლახვარს გვცემდენ და თან ბრალმორეული მახინჯივით დაგვხითხითებდენ. ბათომი ჩვენ ოსმალებს მივეცით, თქვენ როგორ ბედავთ მის დაცვასო.

დღეს დენიკინის ლაშქრის სიშავე აწვია ჩვენი რესპუბლიკის საზღვრებს. აქა იქ სპორადიულად ხდება შეტაკებები და მზვერავი ხასიათის საომარი მოქმედებანი. და ამავე დროს ბოლშევიკების ბნელი ძალები ზურგში აწყობენ შეთქმულებას. გზა დაბნეული გმირები „დუშეთის ტრაგედიისა" კვლავ ევლინებიან ჩვენს ქვეყანას და იწყება პირველი, უაზრო, უმიზნო, უცნაური, თავხედური აჯანყება მოტყუებულ ჯგუფებითა იქ, სადაც ფრონტის პირდაპირი ზურგია.

რას ემსახურებიან ეს ვაჟბატონები? განა თავისუფლების უმაღლეს ფორმას ეტრფიან? განა სოციალიზმის წმინდა მიზნებისთვის იღვწიან? განა ადამიანის ამაღლებისა და მონობისაგან განსათავისუფლებლათ მოქმედებენ? ოდნავათაც არა.

მათ პირზე „საბჭოთა მთავრობა" აკერიათ და მათ საქმეზე—დენიკინის აშკარა დახმარება აწერია, მათ „გამოსვლაზე" სიტყვა პროვოკაცია დიდის ასოებით გამოჭრილია.

და სხვა გვარათ არც შეიძლება იყოს. თვით რუსეთშიაც, სადაც ბოლშევიზმს ჰქონდა სმფუძველი რუსეთის ცხოვრების ისტორიულ ეკონომიურ პირობებში, სადაც იგი სტენკა რაზინის ტრადიციის ახალი ფორმით გაგრძელებას წარმოადგენდა, მიუხედავათ მუშათა მასსის მონაწილეობისა. ამ მოძრაობამ ვერ აიშორა თავის საშინელი ქაოტური ხასიათი და მარტოოდენ ნგრევას მოციქულობს.

ჩვენში კი იგი შიშველი დამანგრეველ-დამრღვეველი სახით გვევლინება, ამ რუსეთის ქაოსის ქაფი, წითელი სახელით, ნამდვილათ კი შავათ გამურული სდგას ჩვენი ცხოვრების სარკის წინაშე.

იდეიური ბოლაზი, რომელიც ანარქისტების სალაროდან აპოკრებილი, კი დევ მოერეოდა ბოლშევიკების იდეოლოგებს, აქ სავსებით დაუკარგავთ და ისინი ისეთ წრეებთან გაერთიანდენ, რომელნიც თავდამსხმელ რაზმებს იძლევიან.

სამაგიეროთ ჩვენში იდეიურ მოწოდებას გაკოტრებული ბოლშევიზმისთვის ერთგულათ ცდილობს ზურაბოვის გაზეთი, რომელნიც თითქოს განგებ ატარებს „სოციალ-დემოკრატის სახელწოდებას და მარქსიზმის ღმერთს ამაოთ იმეორებს ბრალიანსა და უბრალოზე.

ამ რიგათ აქ თითქოს განაწილდა შრომა, გაწესრიგდა სამოქმედო ასპარეზი. გაბოლშევიკებულმა რ. ს. დ. მ. პ. ამ წარმომადგენლებმა იკისრეს პროპაგანდისტის როლი, კომუნისტებმა კი ასრულება ნაქადაგების. პირველი ამზადებს შესაფერ ატმოსფერას, აფხვიერებს ნიადაგს, ქმნის ალიაქოთს, დავას, ებღაუჭება პრინციპებს, თეორიებს, პროლეტარიატს და სხვ. მეორენი კი ამ ნიადაგზე სთესენ თავის სისხლიან ხელებით სისხლიან დღეებს.

საქართველოს დემოკრატია უნდა ფრთხილად იდგეს თავის რევოლიუციის მონაპოვართა სადარაჯოზე. გარეშე მტერი ისე ვერას გვავნებს, როგორც შინაური არეულობის მომწყობნი. ეს მღრღნელი და გამხრწნელი ჭიები ჩვენი საზოგადოებრიობისა.

ბრძოლა ამ ანარქიულ სტიქიისა და დემოკრატიულ შემოქმედებას შორის ჯერ არ დათავებულა. მისი უკანასკნელი ტალღები, ერთხელ კიდევ ცდილობენ გაიმეორონ გასული წლის გაზაფხულის ისტორიები.

მაგრამ ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ეს ტალღაც უკუქცეულ იქნება ჩვენი დემოკრატიის და მისი შეიარაღებული ძალების მიერ.

მუშათა კლასი—ასე არავის გაათელვინებს თავის ხელით შექმნილ დემოკრატიულ რესპუბლიკას.

## პროლეტარიატის ხმა

კაცობრიობის ისტორიას იშვიათად ახსოვს ისეთი კრიზისი, რომელსაც დღეს განიცდის ბურჟუაზიულ ნიადაგზე აშენებული საზოგადოება გაუვალ უფსკრულს მიადგა. ეს ფაქტი დღეს ყველასათვის უდავოა; ამას თვით მსოფლიო კაცობრიობის ბედის ბატონ-პატრონნიც ვერ უარყოფენ, სახელმწიფოთა ურთიერთობის ძველი ფორმები სრულიად უვარგისი გამოდგა, ახალი ფორმების გამოძებნა კი ბურჟუაზიულ საზოგადოების მესვეურთ ვერ მოუხერხებიათ. ვერსალის კონფერენცია, რომელსაც ქვეყნის ბედი უნდა გადაეწყვიტა და სამართლიანი, ყველასათვის მისაღები საზავო პირობები უნდა შეემუშავებინა, უძლური გამოდგა მის წინაშე დაყენებულ საკითხების გადაწყვეტაში; მის მთავარ მონაწილეთა ინტერესების წინააღმდეგობა ისე ძლიერია, რომ ვერ გამოუნახავთ საერთო ნიადაგი შესათანხმებლად. დღეს კონფერენციამ ლამის არის აღიაროს თავისი უძლურება და იარაღი დაყაროს: როგორც დეპეშებიდან სჩანს, ლაპარაკია იმაზე, რომ კონფერენციამ დიდი ხნით შესწყვიტოს თავისი მუშაობა. იმედი ვერ გაამართლა აგრეთვე „ხალხთა ლიგამ": ბურჟუაზიულმა საზოგადოებამ ვერ შესძლო ისეთ ორგანოს შექმნა, რომელსაც უნდა უმაღლეს არბიტრის როლი ეთამაშა სახელმწიფოთა შორის სადავო საკითხების მოგვარებაში.

ჩვენთვის დღეს აშკარაა, რომ ბურჟუაზიულ პრინციპზე აშენებული პოლიტიკა კაცობრიობას ვერ ამოიყვანს იმ ორმოდან, რომელშიაც იგი ჩავარდნილა. საზოგადოება, რომელსაც საძირკველში უდევს კერძო საკუთრება და მის მიერ წარმოშობილი კონკურენცია, საზოგადოება, რომელსაც ჩასახვიდანვე თან დაყოლილი აქვს წინააღმდეგობა და ომი, ეს საზოგადოება ადრე თუ გვიან უნდა მისულიყო საერთო ომამდის, ამ საზოგადოებას ადრე თუ გვიან უნდა წარმოეშვა სახელმწიფოთა მიერ ერთმანეთის ხოცვა-ჟლეტა.

ამ ომისა და ერთმანეთის ჟლეტისაგან კაცობრიობას იხსნის სულ სხვა თვალსაზრისზე აშენებული პოლიტიკა. ამნაირ პოლიტიკის შექმნა კი შეუძლიან იმ კლასს, რომლის ინტერესები მოითხოვენ კერძო საკუთრების ალაგას საზოგადო საკუთრების დამყარებას, კონკურენციის მაგივრათ საზოგადოების საძირკველში სოლიდარობის დადებას. რაც უფრო აშკარა ხდება, რომ ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა მესვეურთ საზოგადოება კატასტროფამდის მიჰყავთ, რომ ს. ერთაშორისო ხოცვა-ჟლეტისაგან კაცობრიობა თავს ვერ დააღწევს, საზამ ძველ საერთაშორისო ურთიერთობის ნიადაგზე იდგება, მით უფრო მკაფიოდ ისმის ახალი საზოგადოებრივ კლასის ხმა, რომელიც სულ სხვა საერთაშორისო ურთიერთობის საჭიროებაზე ღაღადებს.

ეს ხმა ერთხელ კიდევ მოგვესმა ამ დღეებში პროფესიონალურ ორგანიზაციების საერთაშორისო კავშირისაგან. ამ კავშირებმა საქვეყნოთ განაცხადეს, რომ პროფესიონალურ კავშირთა ყრილობა, რომელიც უნდა შეიკრიბოს ვაშინგტონში, ჭეშმარიტი საერთაშორისო უნდა იყოს, ე. ი. მონაწილეობის თანაბარი უფლება უნდა მიეცეს, როგორც გამარჯვებულ, ისე დამარცხებულ სახელმწიფოების პროფესიონალურ კავშირებს. პროლეტარიატისათვის არ არის არც ომში დამარცხებული, არც გამარჯვებული მხარეები. გამარჯვებულ სახელმწიფოთა მესვეურთ უნდათ, რომ ამ ყრილობაში მონაწილეობის უფლება წაერთვას გერმანიის და ავსტრიის კავშირებს, მაგრამ ამაზე არ თანხმდება პროლეტარიატი არა მარტო ნეიტრალურ ქვეყნებისა, არამედ თვით გამარჯვებულ ქვეყნებისაც.

საყურადღებოა აგრეთვე ინგლისის ტრედ უნიონების კონგრესის გადაწყვეტილება. ინგლისის მუშები, როგორც ცნობილია, მუდამ რეფორმისტულ, ზომიერების ნიადაგზე იდგნენ. ამ ნიადაგს პროფესიონალური კავშირები დღესაც არ სცილდებიან მაგრამ საერთაშორისო საკითხებში ინგლისის ტრედ უნიონები მტკიცეთ დგანან სოლიდარობის და მშვიდობიანობის გზაზე.

თუ მოვიგონებთ, რომ საფრანგეთის სოციალისტები დიდიხანია მკაცრათ ებრძვიან დამარცხებულ სახელმწიფოების ფეხქვეშ გათელვის პოლიტიკას და გულწრფელ, ყველასათვის მისაღებ მშვიდობიანობის გზას ადგიან—ჩვენ შეგვეძლიან ის დასკვნა გამოვიტანოთ, რომ შექმნა ახალი საერთაშორისო პოლიტიკისა, რომელიც კაცობრიობას იხსნის თავდაუხწეველ კრიზისისაგან, შეუძლიან მხოლოდ პროლეტარიატს.

## დამფუძნებელი კრება

**14 ოქტომბრის სხდომა.**

თავმჯდომარეობს ხ. მდივანი.

მდივანი კითხულობს კომისიებში გადასაცემათ შემოსულ კანონ-პროექტებს. კრებამ ეს კანონ-პროექტები სათანადო კომისიებს გადასცა. შემდეგ მდივანი კითხულობს დამფუძნებელ კრების სახელზე მიღებულ შემდეგ დეპეშას: ჩრდილო ართვინის წარმომადგენელთა კრებამ დაადგინა სალამი უძღვნას საქართველოს დამფუძნებელ კრებას და აცნობოს მას, რომ ჩრდილო ართვინი რაცხს თავის თავს საქართველოს ნაწილად და საქართველოს მთავრობას სთხოვს ყოველი ღონე იღონოს მის შემოსაერთებლათ (ტაში).

კრ. შარაშიძის მოხსენებით მიღებულ იქნა საბოლოო ტექსტი კანონ-პროექტისა სახაზინო რკინის გზის 1919 წ. იანვრის 1-დან 1 ივნისამდე საექიმო-სასანიტარო ნაწილის მიერ გაწეულ ხარჯების დასაფარავათ 28,302 მ. გადადების შესახებ.

**დეკრეტი სასანიტარო გადასახადის საქონლის მყიდველებზე გადატანის აღკრძალვისა.**

ამ საკითხზე გრძელდება კამათი. გ. გვაზავა აღნიშნავს, რომ ვაჭრების მიერ მომხმარებელზე საქონლის ფასების გადატანა ეს ბუნებრივი მოვლენაა. საზოგადო გაცვლა-გამოცვლის პრინციპი ასეთ გადატანას აუცილებლათ გულისხმობს.

წარმოდგენილი წინადადების ცხოვრებაში გატარება შეუძლებელია, ტეხნიკურათაც განუხორციელებელი. ამიტომ ჩვენი ფრაქცია პრინციპიალურად წინაღმდეგია აქ შემოტანილ წინადადებისა.

მომხსენებელი ნ. ელიავა ამტკიცებს, რომ წარმოდგენილი დეკრეტის მიღება გამოწვეულია განსაკუთრებული მდგომარეობით. რომ ამით ვკრძალავთ ვაჭრებს არ ეკრძალებათ სხვა გადასახადების და ფასების საქონელზე გადატანა, გარდა სანიტარული გადასახადისა. ყველა იმ მოსაზრებებს, რომელნიც აქ ვეშაპელმა და გვაზავამ მოიყვანეს, კომისიაც უწევდა ანგარიშს, მაგრამ ჩვენ გავითვალისწინეთ რა დღევანდელი მდგომარეობა და ის დედა აზრი, რომელსაც დამფუძნებელი კრება სდებს ამ დეკრეტის შინაარსში, საჭიროდ დავინახეთ ამ დეკრეტის მიღება. აქ ამტკიცებდნენ, რომ აქ თვითნებობას ექნება ადგილიო. ჩვენ ამის შიში არა გვაქვს. ამის შიში გამოითქმის მხოლოდ იმ წრიდან, რომელიც თვითმართველობებს არ ენდობა თვითმართველობები ხალხის მიერ არიან არჩეულნი და ნდობით აღჭურვილნი. ისინი არასოდეს არ იფიქრებენ ეს ნდობა ხალხის ინტერესების წინააღმდეგ გამოიყენონ. თვითმართველობათა მოქმედებას თვალ ყურს ადევნებს მთავრობა და თუ ისინი რაიმე შემცდარ გზას დაადგებიან, მთავრობა მათ მოქმედებას შეაჩერებს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ დამფუძნებელი კრება აწესებს პირდაპირ გადასახადს და სანიტარული გადასახადი ხარჯის აკრეფის საშუალებათ არ მიაჩნია. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ თვითმართველობანი ამ უფლებით ბოროტათ არ ისარგებლებენ და შესაფერ სიფრთხილეს გამოიჩენენ მის ცხოვრებაში გატარების დროს.

მუხლობრივი განხილვის შემდეგ დეკრეტი მიღებულ იქნა.

**ეროვნულ დემოკრატების შეკითხვა.**

შეკითხვა ეხება ხონის დელეგაციის დატუსაღებას.

შეკითხვას იცავს ალ. ასათიანი, რომელიც მოუთხრობს კრებას ხონში ზოგიერთი პირების დაპატიმრების ისტორიას. ამ პირთა დაპატიმრებამ —ამბობს ის—(ასახელებს დაპატიმრებულ პირებს) დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, როგორც ხონის საზოგადოებაში, ისე პრესაში და სხვაგანაც. ხონელები თხოულობენ ხონის ქალაქის გაუქმებას და სათემო ერთეულის შექმნას. ასეთი სურვილი გამოსთქვა სამტრედიამაც, სხვა ახალი ქალაქებიც ამ გზას ადგიან. ეს გარემოება გამოწვეულია ფინანსიური კრიზისით, რომელსაც მწვავეთ განიცდიან ახალი ქალაქები. მათ არ ძალუძთ იმ ხარჯების ატანა, რომელიც ქალაქათ გადაკეთებამ დააკისრა. ამ სამართლიანი მოთხოვნილების გამო ადმინისტრაციამ ხონში დააპატიმრა ზოგიერთი პირი. მე ვეკითხები მთავრობას: რა ზომები მიიღო, ან რა ზომების მიღებას აპირობს ის ამ ბოროტ-მოქმედების წინააღმდეგ.

**მინისტრის ამხანაგის პასუხი.**

შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი ბ. ჰეჰიაძე: ეს შეკითხვა ეროვნულ დემოკრატებმა ერთხელ მოხსნეს, რადგანაც საკმაო საბუთები არ მოეპოვებოდათ. მათ დასჭირდათ სპეციალ კაცის გაგზავნა ხონში მასალების შესაკრებად. ამის შემდეგ მე ვფიქრობდი, რომ წარმოდგენილი ტექსტი შეკითხვისა შეცვლილი იქნებოდა, მაგრამ ეს არ მოხდა. აქ დამახასიათებელია ერთი რამ: შეკითხვაში სწერია: დააპატიმრეს დელეგაციაო. აქ კი ბ. ასათიანს შეკითხვის დასაბუთების დროს ერთი სიტყვაც არ უთქვამს ამ დელეგაციის შესახებ. შეკითხვაში სწერია: რა ზომებს იღებს მთავრობა ამ ბოროტ მოქმედების წინააღმდეგო. აქ კი ასათიანმა იხმარა სიტყვა: უხერხული ნაბიჯი და სხვა. უხერხული ნაბიჯის და ბოროტ მოქმედების შუა დიდი მანძილია. ეს მე ძალიან მაკვირვებს, ბ. ასათიანმა ბევრი დრო მოანდომა იმას, რომ ფაქტიური მხარე საქმისა თქვენთვის გადაეცა. მაგრამ მიუხედავათ იმისა, რომ ბ. ასათიანს ყველა ეს მასალები (უჩვენებს თავის მასალებზე) ხელში ჰქონდა, მაინც სულ სხვანაირათ გააშუქა საკითხი. მისი გადმოცემით ვილაცას, რაღაცა ცუდი ჩაუდენია. ეს ასე არ ყოფილა. უნდა ვაღიარო, რომ ხონში ხდებოდა მალული მუშაობა, რომელიც მიმართული იყო დემოკრატიული წყობილების წინააღმდეგ და რომელსაც აშკარა კონტრ-რევოლიუციონური ხასიათი ქონდა. დაადიოდნენ და არწმუნებდნენ ხალხს, რომ ბევრი გადასახადები ექნებათ გადასახდელი, ხალხს ჩასჩიჩინებდენ, რომ ყველაფერი ეს ხონის ქალაქად გადაკეთების შედეგია და სხ. ასე ამ რიგათ ხალხს ატყუებდნენ და ამხედრებდნენ დემოკრატიული თვითმართველობის წინააღმდეგ. რომ აქ მოტყუილებას ქონდა ადგილი, ამას სხვათა შორის ამტკიცებს ის ხმაც, რომელიც გაისმოდა 19 აგვისტოს კრებაზე. იქ გლეხი ამბობს, რომ წულუკიძის განთავისუფლებაზე გვაწერინებენ ხელსო. ეს სიცრუე საჭირო იყო იმისათვის, რომ ხალხი შეცდომაში შეეყვანათ.

როცა იკითხეს, სად არის ტექსტი, რატომ უტექსტო ქაღალდზე გვაწერინებთ ხელსო, უპასუხეს: მიბრძანდით ანტ. ბახტაძესთან და ის გეტყვით თუ სად არის ტექსტიო. უკანასკნელმა კი უთხრა: ტექსტი თუ გნებავთ ეხლავე იქნებაო. ტექსტის შედგენას ჩვენს ვექილს მივანდობთო. ამის შემდეგ ხმა გაისმა ი. რუხაძე ქაღალდს ხევსო. ბახტაძემ მაშინ მორთო ყვირილი: დაჰკამაგასო; შემოიკრიბეს ხალხი გარშემო და უდოდათ ცემა, მაგრამ მილიციის უფროსი ჩაერია საქმეში. მელაძემ იქავე გალახა თვითმართველობის მოსამსახურე ტაბიძე. იმ დღეს იყო გადადგმული ისეთი ნაბიჯები, რომელიც ამტკიცებდნენ, რომ ისინი სიმართლეს ემალებოდენ და ხალხს ატყუებდენ, რომ ამით გასულიყვნენ ღელოს.

შეკითხვაში ნათქვამი იყო დელეგაციის წევრები დაიჭირესო. არც ერთი იმ დაჭერილთაგანი არ ამბობს იმას, რომ ის დელეგატი იყო. მთავრობა კრების თავისუფლების წინააღმდეგ არ არის. მაგრამ აქ არის ერთი მომენტი, რომელიც ჩვენ ნებას გვაძლევდა ისინი დაგვეჭირა. ისინი უკანონოთ იქცეოდნენ. ვილაცამ ჩამორეკა ზარს. 200 კაცი მაშინათვე გაჩნდა. მათ წარედგინათ უტექსტო ქაღალდი და ეუბნებოდნენ: ხელი მოაწერეთო. ეს უკანონო მოქმედებაა და ამიტომაც იყო ამის მეთაურების წინააღმდეგ ზომები მიღებული. შეიძლება მართლა ბევრი გადასახადები დაედო ხონს? არც ეს არის მართალი. ხონში მხოლოდ ერთი გადასახადი გაუწერიათ და ისიც ჯერ არ აუკრეფიათ. ეს არის შეფასებითი გადასახადი. თვითმართველობას უფლება ჰქონ და გაეწერა 2 პროცენტი. მან კი გააწერა ნახევარი პროცენტი. ხალხს კი ამის შესახებ ყალბი ცნობები მიაწოდეს და ადღელვებს მარტო ამ ჭორებით არ კმაყოფილდებოდნენ. ისინი ეუბნებოდნენ ხალხს, რომ ჩვენი მთავრობა მალე გაიპარება, დენიკინი მოვა და მიწა დაგიბრუნდებათო. ვინ არის ის ხალხი, რომელიც ასეთ აგიტაციას ეწევა? ესენი არიან: ყოფილი აფიცრები, მწერლები და სხ. ჩვენი წესწყობილების მოწინააღმდეგე ელემენტები, მათ წინააღმდეგ მთავრობას ზომები უნდა მიეღო.

ჩვენთან იყვნენ სამტრედიის წარმომადგენლები. ისინი ჩვენ არ დაგვიჭერია. მათ ჩვენ მოუსმინეთ და მათი თხოვნა ქალაქის თვითმართველობას გადუგზავნეთ განსახილველად და დასკვნის გასაკეთებლათ. ვინც კანონიერ ნიადაგზე დადგება, მას საშუალება ეძლევა თავისი მოთხოვნილება თავისუფლად წარმოადგინოს. ვინც საქართველოს დამოუკიდებლობას სცნობს, მას არავითარი საფრთხე არ მოელის. ჩვენ ვდგევართ ამ დამოუკიდებლობის ნიადაგზე და მივიღებთ ზომებს, როგორც მარჯვნივ, ისე მარცხნივ იმათ წინააღმდეგ, ვინც ამ დამოუკიდებლობის და ჩვენი დემოკრატიული წესწყობილების წინააღმდეგ იმოქმედებს. (ტაში)

(დასასრული იქნება).

## დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

15 ოქტომბერი.

**საზღვარგარეთის ცნობები.**

**მოსკოვი.** ლონდონი 12 ოქტ. სპარსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ პრინც ფირუზას სიტყვით, სპარსეთი ფიქრობს ინგლისთან დადებული ხელშეკრულება ხალხთა ლიგას გადასცეს განსახილველად. პრინცმა თავის ქვეყნის მწუხარე მდგომარეობა დახატა. მიუხედავათ ნეიტრალიტეტისა, სპარსეთი განადგურებული, დაშლილი და დანაწილებულია. არავითარი მიმოსვლის საშუალება არ არის, თ ირანის მთავრობის ძალა-უფლებას არ აღიარებენ. პრინცმა გამოაცხადა, რომ სპარსეთმა დელეგაცია გაგზავნა პარიზში, რათა საზავო კონფერენციას სპარსეთის მდგომარეობა გააცნოს, მაგრამ დელეგაციის ყურის გდება არავის არ სურს.

**ვიტებსკი.** 10 ოქტ. ვარშავის გაზეთები გადმოგვცემენ, რომ ავსტრიის მთავრობამ ბელაკუნის გაცემაზე უარი სთქვა, ის მოითხოვს იმ ბრალდების დამტკიცებას, რომელშიაც მას ამტყუნებენ.

**მცენსკი.** 13 ოქტ. ხარკოვის გაზეთი „ვეჩერნეე ვრემია" იუწყება, რომ იაპონიის საიმპერიო პალატის თავმჯდომარემ ოსაკეში განაცხადა: „იაპონია მიისწრაფის უზრუნველყოს აღმოსავლეთში მისი განუსაზღვრელი გაფართოვების აღიარება ამერიკის მხრით. იაპონია მოითხოვს, რომ მთელმა ქვეყანამ აღიაროს ციმბირში, ჩინეთში და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში მისი საიმპერიო ნავთსადგური. ციმბირს და მანჯურიას ის უყურებს როგორც საუკეთესო ბაზარს თავის მრეწველობისთვის და როგორც დაუმუშავებელ საქონლის წყაროს თუმცა იაპონია ციმბირში იმპერიალისტურ გეგმას არ ისახავს, მაგრამ უნდა აღიარებულ იქნეს, რომ მის საწინააღმდეგოდ არაფერი აქვს, შემოიერთოს ციმბირის ნაწილი, რომელიც მის მეზობლად არის, განვითაროს და იაპონიის დროშის ქვეშ შექმნას იაპონიის ზედმეტი მცხოვრებთათვის ადგილი.

**ნაუენი.** ოქტ. 13. საფრანგეთის მიერ დაპყრობილ საარის ოლქში, გერმანიის მცხოვრებლებმა გერმანიის ყველა ოფიციალურ და საზოგადო დაწესებულებებს მიმართეს პროტესტით, საფრანგეთის სამხედრო ძალების მოქმედების გამო. მოწოდების ავტორები მოითხოვენ საარის ოლქში გერმანულ კანონების აღიარებას, საქალაქო თავისუფლების დაცვას, სააუკაციო ჯარის შემცირებას და საფრანგეთის ეროვნულ დროშის პატივის ცემის ვალდებულობის გაუქმებას.

**ბერლინი.** ოქტ. 13. ხმებია, სერ ჯორჯ კლერკმა უმაღლეს საბჭოს აუწყა რომ რუმინელები დასტოვებენ ბუდა-პეშტს, თუ საზავო კონფერენცია დათანხმდება უნგრეთში ხელში ჩაგდებული ქონებაზე მათი უფლება აღიაროს.

**მოსკოვი.** (გაგრძელება). **ბერლინი.** ოქტ. 13. გერმანია არ კისრულობს ფონ-დერ-გოლცის რიგაზე თავდასხმის პასუხისმგებლობას, მაგრამ ფოშმა გაუგზავნა ულტიმატუმი, რომელშიაც ემუ-

# დღეს

ჰააზეს მდგომარეობა გაუარესდა.

სპარსეთი ფიქრობს ინგლისთან დადებული ხელშეკრულება ხალხთა ლიგას გადასცეს განსახილველად.

ავსტრიის მთავრობამ ბელაკუნის გაცემაზე უარი სთქვა.

იაპონიას სურს შეიერთოს ციმბირის ნაწილი, რომელიც მის მეზობლად არის.

გერმანია არ კისრულობს ფონ დერ გოლცის რიგაზე თავდასხმის პასუხისმგებლობას.

საარის ოლქში ფრანგების ჯარებსა და მცხოვრებლებს შორის კონფლიქტია.

ლატვიამ ამერიკასთან კავშირი შეჰკრა.

გერმანია უარს აცხადებს რუსეთის წინააღმდეგ ბლოკადაში მონაწილეობის მიღებაზე.

მოხალისეთა ჯარმა აიღო ორიოლი.

კურსკთან მკაცრი ბრძოლების შემდეგ წითელმა ჯარმა აიღო ქ. დმიტროვსკი.

რუსეთის ყველა ფრონტებზე მკაცრი ბრძოლებია.

ბოლშევიკების ცნობით სტავროპოლის გუბერნიაში მთიელებსა და მოხალისეთა შორის ბრძოლებია.

პოლტავისა და ეკატერინოსლავის გუბერნიებში დენიკინის წინააღმდეგ გლეხთა აჯანყებები იზრდება.

დენიკინის ზურგში — ცარიცინ უსტკოვის რაიონში აჯანყებაა

ატამანი ზელიონი, რომელიც დენიკინის წინააღმდეგ იბრძვის, კიევს 30 ვერსით მიუახლოვდა.

დენიკინსა და პეტლიურას შორის ბრძოლაა; პეტლიურა უკან იხევს.

ქრება, რომ თუ ბალტიიდან ჯარს არ გამოიყვანენ, ბალტიის ზღვაში გერმანიის გემებს სიკვესტრს უზავენ და ბლოკადას აღადგენენ.

**მოსკოვი.** ოქტ. 14. სამხედ. ცნობა. პოვენეცის ყურეში ჩვენი დესანტის წინსვლა მარჯვედ ვითარდება. მურმანსკისკენ ჩვენმა ჯარმა სადგ. ლიჟმის ჩრდილოეთით 20 ვერსით წინ წაიწია. დასავლეთის ფრონტი. ნარვის მიმართ. ჩვენმა ჯარმა ახალ პოზიციებზე დაიხია, კრასნაია გორკას დასავლეთით 25 ვერსით. (გამოტოვებულია) მიმართ. ბრძოლა სწარმოებს კრასნაია გორკის სამხრეთ დასავლეთით 25 ვერსზე და გატჩინოს დასავლეთით 35 ვერსზე. სუმის რაიონში მკაცრი ბრძოლებია. პსკოვის რაიონში მდ. ველიკაიას დასავლეთით 10—15 ვერსზე მკაცრი ბრძოლები გრძელდება. კიევის რაიონში ჩვენმა ჯარმა სძლია მოწინააღმდეგის შედგარი წინააღმდეგობა და კიევს დასავლეთით 25 ვერს. დაუახლოვდა. გლუხოვისკენ ჩვენი ჯარი შეტევას განაგრძობს და აიღო ჩერნიგოვის ვორონეჟი და სად. მიხაილოვსკი ხუტორი. მტერი დიდათ დაზარალდა და უკან იხევს კროლევეცისა და გლუხოვისკენ, კურსკისკენ მკაცრი ბრძოლის შემდეგ ქ. დმიტროვსკი ავიღეთ. ჩვენი შეტევა გრძელდება; ჩვენი ჯარი მდ. კრომზე გადის. მკაცრი ბრძოლის შემდეგ ოქტ. 13 ქ. ორიოლი დავტოვეთ. მიღებულია ზომები, რითა ჩვენი ჯარი შეტევაზე გადავიდეს ქალაქის დასაბრუნებლად. ლივნისკენ მკაცრი ბრძოლის შემდეგ დავტოვეთ სადგურები ვერხოვიე და სკორიატინო. ბოგუჩარისკენ სად. ვორობიოვკისკენ დავიხიეთ. უსტმედვედიცის რაიონში მკაცრი ბრძოლის შემდეგ სტანიცა არჩადინსკაია ავიღეთ. ცარიცინისკენ მკაცრი ბრძოლა გაიმართა დონსა და ვოლგის შუა და სადგ. კოტლიუბან-პიჩუგა'. ხაზის ჩრდილოეთით.

აღმოსავლეთის ფრონტი. ურალსკის რაიონში კენდელინსკთან, ურალსკის აღმოსავლეთით 100 ვერსზე მტრის შემოტევა მოვიგერიეთ. ტობოლზე კურგანის რაიონში ორივე მხრივ მზვერავთა ენერგიული მოქმედებაა. კურგანის სამხრეთით მტრის ჰაეროპლანები დაფრინავს. იშიმის რკინის გზის ორივე მხარეზე იალუტოროვის რაიონში ადგილობრივ მნიშვნელობის ბრძოლებია.

**ნაუენი.** ოქტ. 12. გერმანიის პრესა ამტკიცებს, რომ საარის ოლქში მცხოვრებლებს და ფრანგ ჯარისკაცებს შორის სისხლის ღვრა მოხდა. მცხოვრებლებსა და ჯარს შორის დამოკიდებულება დამაკმაყოფილებელი არ არის. ქ. სანკტ ინბერგში უწესოება მოხდა. ბრბომ დალეწა ის დუქნები, რომლის პატრონებს ფრანგ სპეკულიანტებთან ჰქონდათ საქმე. წესრიგი საფრანგეთის ჯარმა აღადგინა. საარ ლუიში და როტვეილეში არეულობა მოხდა. მათ დასაწყნარებლად ფრანგი ჯარისკაცები გამოიწვიეს.

**მოსკოვი.** (გაგრძელება). **ნაუენი.** ოქტ. 13. ლატიშურ გაზეთების სიტყვით, ლატვიამ ამერიკასთან შეკრა კავშირი, რომელსაც ვითომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს სანაპირო სახელმწიფო მდგომარეობისათვის.

**ნაუენი.** ოქტ. 13. გაზეთების ცნობით, დელეგატ ჰააზეს მდგომარეობა გაუარესდა.

**სარატოვი** ოქტ. 13. გაზეთ. „ნოვაია ზარია" ს ცნობით, კოლჩაკის ჯარში ჩეხებში უკმაყოფილება იზრდება. ზოგი ნაწილები დაუყოვნებლივ შინ გამგზავრებას მოითხოვენ, წინააღმდეგ შემთხვევაში ემუქრებიან.

**სარატოვი.** ოქტ. 14. „ვოლნაია კუბან"-ის ცნობით, როსტოვში დახვრიტეს მღვდელი მიტროპოლსკი, რომელმაც სიტყვა წარმოსთქვა ეკლესიაში და მოუწოდებდა ხალხს შეეწყვიტათ სამოქალაქო ომი და შერიგებოდნენ საბჭოთა მთავრობას.

**სარატოვი.** ოქტ. 9. სტავროპოლის გუბერნიაში მთიელებსა და მოხალისეთა შორის მკაცრი ბრძოლაა. დენიკინის ნაწილები, რომლებიც ოსეთში შეიჭრნენ მხეცურათ მოექცნენ კერმენისტებს, ოსეთის ბოლშევიკებს. დენიკინელები გარს შემოერტყენ ქრისტიანოვსკაიას, აიძულეს მცხოვრებლები დანებებულიყვნენ: ხელში ჩაიგდეს მილიონი ფუთი პური, 1000 ცხენი, 5000 თოფი, ორი მილიონი ტყვია. კერმენისტებმა თავი გაინთავისუფლეს და არდონის ტყეში გაიქცნენ. ბრბომ დაიჭირა კერმენისტების პარტიის ც. კომიტეტის თავმჯდომარე ციგოლოვი და ხიშტებით დასჩხვლიტეს.

**ჰელსინგფორსი.** ოქტ. 10. ამერიკიდან მოსული ცნობით, ფოლადის ჩამომსხმელ მუშების გაფიცვებმა საშინელი ცუდი ხასიათი მიიღო. გაფიცვების პირველ დღეს მოხდა მუშათა მიტინგები, რომელიც პოლიციამ დაშალა. ქარხნის მეპატრონეები პოლიციის დამოუკიდებლათ მოქმედობენ. ამ მიზნით 10000 მუშა შეკრიბეს ქარხნის დასაცავათ. ქარხნებში მუშაობა სრულიად შესწყდა, სხვა ქარხნებში ნახევარზე ნაკლები მუშები მუშაობენ. დამქირავებლებსა და მუშებ შორის დამოკიდებულება მწვავდება. ბევრს ადგილას მუშებსა და პოლიციის შორის შეტაკება მოხდა. მსხვერპლი დიდია.

**ვიტებსკი.** ოქტ. 10 ვარშავის გაზეთების ცნობით, დენიკინის საადგილმამულო კომისია, რომელიც კადეტებისგან შესდგება, იწყებს გლეხებზე დამტკიცებას გამოსყიდვით იმ მიწებისას, რომელიც ძალით ჩაიგდეს ხელში.

**ნაუენი.** ოქტ. 13. ლიტვის პრეს ბიუროს ცნობით კოვნოში, ლიტვის პრეზიდენტმა ახალი კაბინეტის შედგენა სოც. დემ. ინჟ. გოლვანსკის მიანდო.

**ტაგანროგი.** ოქტ. 13. როსტოვის პოლიტიკურ წრეებში გადასაწყვეტათ დასვეს საკითხი რუსეთის აღდგენის კავშირის, ეროვნულ ცენტრის და სახელმწიფოებრივ გაერთიანების ცენტრის შეერთების შესახებ.

**მოსკოვი.** ოქტ. 14. ფინური გაზეთების ცნობით, პოლტავის და ეკატერინოსლავის გუბერნიებში დენიკინის წინააღმდეგ გლეხთა აჯანყება დღე და დღე იზრდება. ხოლო ატამანი ზელიონი, რომელიც დენიკინის წინააღმდეგ იბრძვის, კიევს 30 ვერსით მიუახლოვდა. გლეხები კიევს სურსათს არ აძლევენ. კიევი ყოველ მხრივ მოჭრილია და შეწყვეტილია მასთან ყოველივე კავშირი. კიევში გირვანქა პურის ფასმა 20 კორბოვანციდან 250 მდე აიწია. დაიწყო ბრძოლა დენიკინსა და პეტლიურას შორის. პეტლიურა უკან იხევს.—დენიკინის ზურგში—ცარიცინ-უსტვოვის რაიონში აჯანყებაა. ნარვის ფრონტის თეთრგვარდიელთა ჯარის სარდალმა გენ. იუდენიჩსა მოღალატეთ გამოაცხადა პოლკ. ბერმონტი, რომელმაც ფონ დერ ჰოლცთან ერთად თეთრ ლატიშთა მთავრობის წინააღმდეგ გაილაშქრა. იუდენიჩმა ბერმონტის ყველა ოფიცრებს და ჯარისკაცებს მოუწოდა თავი გაანებონ ბერმონტს.

**ევროპიული პრესის ცნობები.**

კილიდან და დანციგიდან იუწყებიან, რომ ბალტიის ზღვის ბლოკადა ეკონომიურ ცხოვრებაში დიდ დაბრკოლებას ჰქმნის. კილი მოწყვეტილია, როგორც კუნძულებს, ისე სხვა ნავთსადგურებს. დანციგში მოელოდნენ დიდძალს ქვანახშირსა და თევზს, რაც ბლოკადის გამო ვეღარ მოვა. მრავალი გემი ვერ დაბრუნდა, რადგან მათზე რადიო-ტელეგრაფი არ იყო და ამიტომ ვერ შეატყობინეს ბლოკადის გამოცხადება.

პოლონელებმა ტყვე გერმანელების სამშობლოში გზავნა დაიწყეს.

სენატში კლემანსომ განაცხადა, რომ საფრანგეთი უნდა ეცადოს მეგობრული ურთიერთობა დაამყაროს რეინის მარცხენა მხარის მცხოვრებლებთან და დაიცვას იგი პრუსიის დესპოტიზმისაგან. „ფორვერტს"-ი ურჩევს კლემანსოს, რეინის მხარე თავდაპირველად მოკავშირეთა დესპოტიზმისაგან დაიხსნას.

„ტან"-ი და პარიზის სხვა გაზეთები ურჩევენ (?) მაინის ფრანკფურტი დაიპყრონ მოკავშირეთა მისწრაფების მისაღწევად ბალტიის მხარეში. გერმანული გაზეთები ამბობენ: საფრანგეთს ალბად განზრახული აქვს ზავის შეკვრის შემდეგაც განაგრძოს თავისი პოლიტიკა და ძალა იხმაროს გერმანიაზე.

გერმანულმა პრესამ გამოაქვეყნა მოკავშირეთა ორი ნოტა, რომელთაც „ფორვერტს"-ი უწოდებს „ბალტიის ნოტა"-ს და „საბჭოთა საწინააღმდეგო ნოტა"-ს და აღნიშნავს ზოგიერთ წინააღმდეგობას. „ფორვერტს-"ი ამბობს, რომ ლაპარაკი საბჭოთა ჯარის წინააღმდეგ ბრძოლის, გერმანიის საწინააღმდეგო ბლოკადის და საბჭოთა ჯარის წინააღმდეგ მებრძოლ გერმანულ ჯარების შესახებაა. ვის შეუძლია გაერკვიოს ამაში? „დოიტჩე ალგემაინე ცაიტუნგ"-ი აღნიშნავს, რომ ის ნოტა, რომელიც ბალტიაში შექმნილ მდგომარეობას შეეხება, სავსებით ეთანხმება გერმანიის მისწრაფებას. საბჭოთა მთავრობის საწინააღმდეგო ნოტის შესახებ გაზეთები კითხულობენ, გერმანიამ მხარი უნდა დაუჭიროს ბლოკადას, თუ არა? ზემოხსენებული გაზეთი ამბობს, რომ ეს ცნობა ხალხთა ლიგისადმი ერთგვარი მიმართვაა, და შემდეგ კითხულობს, ნამდვილად ბლოკადას შეუძლია კი ბოლშევიკების ბატონობის მოსპობა? ყოველ შემთხვევაში გერმანიამ უარი უნდა განაცხადოს რუსეთის წინააღმდეგ ბლოკადაში მონაწილეობაზე.

დემოკრატიულ პარტიის გაზეთები ფიქრობენ, რომ გერმანიამ არავითარი გადაწყვეტილება არ უნდა მიიღოს, სანამ არ გამოირკვევა ამ საკითხისადმი ნეიტრალურ სახელმწიფოების დამოკიდებულება. „ფოსიშე ცეიტუნგ"-ი ეკითხება მოკავშირეებს, თუ რა გარანტიის მიცემა შეუძლია მათ რუსეთისადმი განზრახვების შესახებ. გერმანიის ერი მზად იყო რუსეთს ყოველ მხრივ დახმარებოდა, მაგრამ უარს აცხადებს ხელის გაწოდებაზე და ავტოკრატიის აღდგენას ფიქრობს „ბერლინერ ტაგებლატ"-ი თხოულობს გულახდილად იქნეს განმარტებული ის პოლიტიკა, რომლის წარმოებაც შეუძლიანთ მოკავშირეებს და გერმანიას საერთო კეთილდღეობის მიზნით.

საფრანგეთის ადმინისტრაცია სტრასბურგში უფრო მკაცრი გახდა, რელიგიის და ენის შესახებ მოთხოვნილებების გამო. განკარგულება გაიცა, რომ ელზას ლორენის დაწყებით სკოლებში სამღვთო სჯულის სწავლება გერმანულ ენაზე უნდა სწარმოებდეს. გერმანულ ენისთვის კვირაში 7 გაკვეთილია დაწესებული.

გერმანიის პრესაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა „მანჩესტერ გარდიან"-ის წერილმა იმის შესახებ, რომ გერმანიამ საფრანგეთს ძროხები და თხები უნდა მისცეს. გაზეთი სწერს, რომ ეხლა უფრო მეტი ნაკლებობა არის რძისა, რის გამოც ბავშვები უფრო მეტი იხოცება. ამიტომ თუ ეხლა მოკავშირეებს ოთხფეხი საქონელი გადასცა, ბავშვთა შორის სიკვდილი უფრო გაძლიერდება. გერმანული გაზეთები ეთანხმებიან „მანჩესტერ გარდიან"ს, რომ ავსტრალიასა და ამერიკიდან შეიძლება საჭირო რიცხვის ოთხფეხ საქონლის გამოზიდვა საფრანგეთისა და ბელგიისთვის.

დანიის ტრედიუნიონებმა განაცხადეს, რომ ისინი მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებენ მონაწილეობას ვაშინგტონის საერთაშორისო შრომის კონგრესზე, თუ გერმანიის და ავსტრიის მუშები სხვა ქვეყნების მუშებთან თანაბარ უფლებებით მიიღებენ მონაწილეობას, რადგან არ შეიძლება, რომ გერმანიის და ავსტრიის მუშებმა იცადონ, ვიდრე კონგრესი მათ ნებას დართავს მონაწილეობა მიიღონ.

# უცხოეთი

**ებრაელების დარბევა.**

გაზ. „ჰუმანიტეს" 6 სექტემბრის ნომერში დაბეჭდილია საფრანგეთის ლიტერატორების და საზოგადო მოღვაწეთა მოწოდება, რომელშიაც აღნიშნულია ის საშინელი ბარბაროსობანი, რომელსაც ადგილი ჰქონდა ებრაელების მიმართ აღმოსავლეთ ევროპაში: უკრაინაში, პოლონეთში, გალიციაში. პროსკუროვში ათასზე მეტი ებრაელი ამოხოცეს, ფილშტინში, ჟიტომირში, ბალტში, უმანში, ბობრახში, კამენეც-პოდოლსკში, ტროსტინში და სხვა მრავალ ადგილას, სადაც ათასობით ამოწყვიტეს ებრაელობა. ქვემორე ხელის მომწერნი მოუწოდებენ კაცობრიობას აღიმაღლოს ხმა ამ საშინელების წინააღმდეგ. მოწოდებაზე ხელი უწერიათ ანატოლი ფრანსის, პოლ აპელს, პროფესორ ოლარს, შარალ ჟიდს, კუსტავ (ერვე), პროფ. ლარნოდს, აკადემიკ ე. ლავის, მარსელ კაშენის, ალბერტ ტომას და სხვ.

**რკინის გზელების გაფიცვა ინგლისში.**

მოლაპარაკება რკინის გზელებს და ლოიდ ჯორჯის შორის დაიწყო 5 ოქტომბერს, [illegible] 11 [illegible] და გაგრძელდა 5 საათს. მოლაპარაკება შეთანხმებით გათავდა. [illegible] და—რომ გაფიცვა დამთავრებულია და მოუწოდებდენ მუშებს მუშაობა განეახლებინათ. აღფრთოვანებული ხალხი, რომელსაც თავი მოეყარა—აღფრთოვანებით მიესალმა მინისტრებს, რკინის გზელების წარმომადგენლებს, ტომას და სხვებს. გაზეთების გადმოცემით შეთანხმება აკმაყოფილებს, როგორც მუშებს—ისევე მთავრობას.

# ადერბეიჯანში

**საგარეო საქმეთა მინისტრის მიმართვა ჰასკელისადმი.**

იმ ძალმომრეობის შესახებ, რომელსაც ადგილი აქვს სომხეთში მუსულმანების მიმართ, საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯაფაროვმა აღძრა შუამდგომლობა პოლკ. ჰასკელთან და სთხოვა მას დახმარება და ამ საკითხის მოგვარება. პოლკოვნიკი ჰასკელი შეეკითხა ამის გამო სომხეთის მთავრობას, რომელმაც აღუთქვა ზომების მიღება და სპეციალური კომისიის დანიშვნა ამ სამწუხარო ფაქტების გამოსარკვევათ. ადერბეიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრმა სთხოვა ჰასკელს, რომ მან გავლენა მოახდინოს სომხეთის მთავრობაზე იმ მხრივ, რომ კომისიაში მონაწილეობა მიიღონ ნეიტრალ სახელმწიფოების წარმომადგენლებმაც.

# ახალი ამბები

**მთავრობის თავმჯდომარემ** არტაანიდან შემდეგი დეპეშა მიიღო: „ჩრდილოეთ-არტაანის მცხოვრებთა წარმომადგენლების კრებამ სოფელ ხანახში 8 ოქტომბერს ა. წ. დავადგინეთ სალამი უძღვნათ საქართველოს დამფუძნებელ კრებას და ვამცნოთ მას, რომ ჩრდილოეთ არტაანის მუსულმანობა, რაცხს რა თავის ქვეყანას საქართველოს განუყოფელ ნაწილათ, იმედოვნებს, რომ ქართველი ხალხი ყოველ ღონეს იხმარს მთელი არტაანის საქართველოსთან შემოსაერთებლათ, რომელიც ისტორიულათ, ეტნოგრაფიულათ და ეკონომიურათ საქართველოს ნაწილს შეადგენდა. ოლქის მთელი მუსულმანობა დარწმუნებულია თქვენს გულწრფელ თანაგრძნობაში და გისურვებთ გამარჯვებას გაერთიანებულ საქართველოს საკეთილდღეოთ!

◆ **სავალდებულო დადგენილება.** მიღებული და დამტკიცებული თფ. ქალაქის საბჭოს მიერ ამა წლის 22 სექტემბერს: 1) ქალაქში ყველა საზოგადო სავაჭრო-სამრეწველო და სხვადასხვა დაწესებულებებზე მთავარი წარწერანი თვალსაჩინო ადგილს უნდა იყოს სახელმწიფო ენაზე; 2) მეპატრონეთ უფლება ეძლევათ გარდა ხსენებული მთავარი წარწერებისა, რომელიც ქართულ ენაზე იქნება, სხვა ენაზედაც იქონიონ მცირედი წარწერანი; 3) ვადა ასეთი წარწერის დამზადებისა და გამოკიდვისა დღეიდან სამი თვე დაინიშნოს; 4) მართლწერის და სტილის დასაცავათ მეპატრონე ვალდებულია წარწერის ტექსტი წინდაწინ წარუდგინოს საქართველოს სავაჭრო პალატას, რომელიც შესაფერ ტერმინოლოგიას შეიმუშავებს და დახმარებას გაუწევს მსურველთ უფასოთ; 5) თუ ვინიცობაა მეოთხე მუხლში მოყვანილი ვალდებულება არ შეასრულეს არწ დაუკვეთეს სახელოსნოებს ასდღეწერათა დამზადება, მაშინ ხელოვანნი და შემსრულებელნი ასეთი წარწერებისა თვით არიან ვალდებულნი წარუდგინონ სავაჭრო-პალატას დასამტკიცებლად წარწერათა ტექსტი. 6) სახლის პატრონები ვალდებულნი არიან არსებული წარწერანი სახლის ფასადზე და ფარნებზე სახელმ. ენაზე წარწერით შესცვალონ ამავე ხნის განმავლობაში. 7) ვინც ამ სავალდებულო დადგენილებას არ შეასრულებს, პასუხის გებაში იქნება მიცემული სასჯელთა წესდების მე 29 მუხლის ძალით.

◆ **ამიერ კავკასიის კოოპერატივთა** კავშირის წარმომადგენელთა ყრილობა 14 ოქტომბერს საღამოს დასრულდა. აირჩიეს ერთი გამგეობის წევრი, ნაცვლად გამგეობიდან გამოსული წევრისა. არჩეულ იქნა პლ. თალაკვაძე. ყრილობა დახურა თავმჯდომარემ ის. რამიშვილმა სიტყვით. მას ყრილობამ ოვაციები გაუმართა.

◆ **ციმბირის ქართველთა წარმომადგენლები.** ციმბირიდან თფილისში ჩამოვიდნენ ციმბირის ყველა ქალაქებსა და შორეულ აღმოსავლეთში მყოფ ქართველთა წარმომადგენელნი ბ. როსტომაშვილი და ხავთასი, რომელთაც დავალებული აქვთ წარუდგინონ საქართველოს მთავრობას, მიესალმონ საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკას და მოახსენონ ვრცელი ინფორმაცია ციმბირში მყოფ ქართველთა პოლიტიკურ მდგომარეობაზე და მათი სამშობლოში დაბრუნების სურვილი.

# ხალხთა ლიგა *)

(ისტორიულ-ფილოსოფიური ექსკურსით)

სახელმწიფოებრივ ფორმას რომ კარდინარული მნიშვნელობა აქვს, ეს ოთხთა კავშირის გაკვეთილმა გვაჩვენა: ცენტრალურ სახელმწიფოების წინააღმდეგ იდგნენ: ბურჟუაზიულ დემოკრატიული საფრანგეთი, კონსტიტუციონალური ინგლისი და აუტოკრატიულ—მონარქისტული რუსეთი. ამ კავშირის დევიზი იყო: მცირე ერთა განთავისუფლება, კულტურა და ცივილიზაციისთვის ბრძოლა. რუსეთის მეფე რომ 1917 წ. არ ჩამოეგდოთ, რა გარანტია ჰქონდა ანტანტას, რომ რუსეთი იძულებითი სეპარატიულ ზავს არ შეკრავდა გერმანიასთან? მას ხომ თვითმპყრობელი მეფის სიტყვა ჰქონდა ხელში პარლამენტის გარანტიის ნაცვლად? ან არა და რომელი კულტურის, რომელი ცივილიზაციის სახელით უნდა ებრძოლა ველურ რუსეთს?

**უეჭველია ამერიკის პრეზიდენტი კომპრომისზე წავიდა. მან თავისი ძირითადი პრინციპი ვერ დაიცვა, რადგან იგი ხომ საკუთარი ძალით ვერ გარდაჰქმნიდა ხალხთა ლიგაში მიწვეულ სახელმწიფოთა ფორმებს. კლემანსომ ვუილსონის 14 პუნქტი ძველი ევროპის უკანასკნელ ციხე სიმაგრეთ გადააქცია.**

ვერსალის კონფერენციის პირმშოს, ხალხთა ლიგის დამფუძნებელ წევრებად ითვლება დღეს: ამერიკის შეერთებული შტატები, ბელგია, ბოლივია, ბრაზილია, დიდი ბრიტანია, კანადა, ავსტრალია, სამხრეთ აფრიკა, ახალი ზელანდია, ინდოეთი, ჩინეთი, კუბა, ეკუადორ. საფრანგეთი, საბერძნეთი, გუატემალა, ჰაიტი, ჰეჯას, ჰონდურას, იტალია, იაპონია, ლიბერია, ნიკარაგუა, პანამა, პერუ, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინია, სერბია, სიამი, ჩეხო-სლოვაკია, ურუგვაი. მიწვეულნი არიან: არგენტინა, ჩილი, კოლუმბია, დანია, ისპანია, ნორვეგია, პარაგუაი, ჰოლანდია, სპარსეთი, სალვადორი, შვეიცარია, შვეცია, ვენეცუელა. ზემოჩამოთვლილ ხალხებს კი სულ სხვადასხვა სისტემის სახელმწიფოები აქვთ. მაშასადამე ერთი უმთავრეს პირობებთაგანი ხალხთა ლიგის შესაკრავად, სახელდობრ ერთნაირი სახელმწიფოებრივი ინსტიტუტები, ეს მათ არ მოეძევათ.

გარდა ამისა ხალხთა ლიგის წევრებს საერთო კულტურული დონე უნდა მოეპოვებოდეს, რათა მათ შორის თანაბარი გაგება იყოს სამოქალაქო და ინტერნაციონალური ნორმებისა და კანონების. რა ენით უნდა ილაპარაკონ ერთმანეთში ინგლისმა და პერუმ ან, თუ გნებავთ ჰეჯამ, ან ვენეცუელამ.

რა აქვს საერთო ისეთ სახელმწიფოს სადაც თავისუფლება პიროვნებისა ხელშეუხებელია, სადაც პრესის თავისუფლებაა, მუშათა კანონები, პარლამენტი და სოციალური რეფორმები მოიპოვება, და ისეთს, სადაც ადამიანებს ურემში აბამენ ქალებს ჰარემში ჰყრიან სადაც არც კანონია და არც ქარხნის მუშა, სადაც სიტყვა სოციალიზმი და პრესა არც გაუგონიათ?

ვუილსონისებურ ხალხთა ლიგის განსახორციელებლად აუცილებლად საჭიროა, რომ ლიგის წევრ სახელმწიფოებს დაახლოებით ერთგვარი სახელმწიფო, საკულტურო და საცივილიზაციო ორგანოები მოეპოვებოდეს და, ყველაზე უფრო საერთო კულტურული განვითარების დონე.

ცხადია, ვუილსონისაგან ხსნას ელის არა ევროპის დემოკრატია, არამედ ევროპის ბურჟუაზია; რადგანაც დღეს ევროპა გზაჯვარედინზე სდგას. ან მსოფლიო რევოლუციამ უნდა წარხოცოს მოძველებული სახელმწიფოებრივი ფორმები, ან არა და იგი ვუილსონის კომპრომისების გზას გაჰყვეს. დააკვირდით ხალხთა დაჯგუფებას ვერსაილის ხალხთა ლიგის პროექტში! აქ ადამიანს უნებურათ ეჭვი აღეძვრის, ალბად მეორე მოწინააღმდეგე უნდა იყოს სადმე?

თუ ვერსალის ლიგას თავდაცვითი, ან მოგერიებითი ხასიათი ექნება, ცხადია ეს საკმაოდ ჭრელი ხალხთა კომბინაცია ვერ იქნება მოქნილი იარაღი ძლიერი მტრის წინააღმდეგ იმ შემთხვევაში, თუ უკმაყოფილო ელემენტები ლიგიდან გავიდნენ და მოწინააღმდეგე ჯგუფებს მიემხრნენ. (ლიგის წესდების I არტიკულის მიხედვით ყოველ წევრს შეუძლია 2 წლით წინასწარ განცხადების შემდეგ ლიგიდან გავიდეს.

თუ ვერსალის კონფერენციას ყოველივე ომის თავიდან აცილება უნდოდა, იმ შემთხვევაში ზედმეტი იყო რამოდენიმე ერთა ოჯახის ლიგის გარეშე დატოვება.

ჩვენ მოვიგონებთ წმინდა რომის იმპერიას გერმანულ ნაციისას. ეს იმპერია ერთ დროს თითქმის მთელ ქრისტიანულ ევროპას შეიცავდა ბრიტანიის გამოკლებით. ამ ხანებში აღმოსავლეთი და დასავლეთი, ქრისტიანიზმისა და ისლამის სახით ებრძოდნენ ერთი მეორეს.

წმ. რომის იმპერია შეკავშირდა არა რასსიულ ნაციონალურ ნათესაობის ბაზაზე, არამედ რელიგიოზურ-ეკონომიურ ნიადაგზე. წმ. რომის იმპერიამ ევროპის ქრისტიანული კულტურა გადაარჩინა მუსულმანების შემოსევას.

ის ერები, რომელნიც დღეს ხალხთა ლიგაში იმყოფებიან, შეერთებული არიან არა რელიგიოზურ მომენტით გამოწვეულ გასაჭირის გამო, არამედ ისინი შეაერთა სოციალური რევოლიუციის აზრდილმა, რომელიც კარლ მარქსის არ იყოს, აგერ რამოდენიმე ათეული წელია, რაც ბურჟუაზიულ ევროპას გარს უვლის.

ხალხთა ლიგიდან გამორიცხულნი არიან ყველა სოციალისტური და ულტრა დემოკრატიული სახელმწიფოები, ცხადია აქ ხალხთა ლიგას **ერთა ძმობილების პრინციპი კი არა აქვს, არამედ მსოფლიო ბურჟუაზია ეფარება ვორდროვ ვუილსონის დიდ სილუეტს და მისს ხალხთა ლიგას.** წმინდა რომის იმპერიას კარლოს დიდი მეთაურობდა, ხალხთა ლიგის „კარლოს დიდათ" პრეზიდენტ ვუილსონი ითვლება. ამ ორი დიდი პიროვნებას შორის დიდი განსხვავებაცაა და დიდი მსგავსებაც.

ვორდროვ ვუილსონი ყველაზე უფრო პოპულიარული პიროვნებაა დღეს მთელ ქვეყანაზე. ვუილსონს ეწადა მორალური დიქტატორის როლი ეთამაშა, ეს მას კილოზე შეეტყო ევროპაში ჩამოსვლის უმალ, მაგრამ სწორედ ამ დროს ამერიკაში არჩევნები მისტერ ლოდგეს ხასარგებლოდ დამთავრდა. ვუილსონს ევროპაში გაცილებით მეტი მორალური ზედსაყრდენი მოეპოვებოდა ვიდრე ამერიკაში. ეს გარემოება კლემანსოს არ დავიწყებია. კლემანსომ კარგად იცოდა, რომ ვუილსონს თავისი ნავთის და ნახშირის მეფეები ევროპის დემოკრატიზაციის საქმეში დიდის თავგამოდებით მხარს ვერ დაუჭერდნენ, იცოდა რომ ნავთის და ნახშირის მეფეები, დინასტიურ მეფეებს არ ჩამოუვარდებიან კონსერვატიზმში, ისიც იცოდა მუსიო კლემანსომ, რომ ვუილსონი ევროპის საზოგადოებრივ აზრს ვერ მოიხმარდა, მას ვერ დაეყრდნობოდა.

ყური დაუგდოთ ვუილსონ-კლემანსოს დიალოგს საფრანგეთის კამერში მომხდარ დებატებში.

**ვუილსონი:** „თუ მომავალი ჩვენ სხვას არაფერს მოგვიტანს, თუ არა და ახალ ცდას მსოფლიოს მშვიდობიანობის სახელმწიფოთა სწორ სწორობის საშუალებით დაცვისას, მაშინ მე უნდა განვაცხადო, რომ შეერთებულ შტატებს არავითარი ინტერესი არა აქვს, ისეთ კავშირში შევიდეს, რომელშიაც ყველა ერი არ იქნება წარმოდგენილი".

**კლემანსო:** „არსებობს ერთი ძველი სისტემა სახელმწიფოთა სწორ სწორობისა, რომლის ერთგულიც მე გახლავართ. ერთის შეხედვით კაცს ჰგონია, რომ ამ სისტემამ დრო მოსჭამა. ომის დაწყებამდის რომ ევროპაში ასეთი სწორსწორაობა ყოფილიყო სახელმწიფოთა შორის, რომ ინგლისი, ამერიკა, საფრანგეთი და იტალია ერთად ყოფილიყვნენ, ჩვენ ეს საშინელი ომი არ დაგვატყდებოდა. ეს კავშირის სისტემა იქნება ჩემი დევიზი კონფერენციაზე, მე ყოველივე შესაძლებელ მსხვერპლს გავიღებ ამისთვის".

კლემანსო კონსექვენტური პოლიტიკური მოღვაწეა, მისთვის უკან დახევა და დათმობა არ არსებობს, მას სამართლიანად უძახიან ბებერ ვეფხვს. კლემანსო ძველი ევროპის დამცველი გამოვიდა კონტრ-ვუილსონ.

როგორც ჰხედავთ კლემანსოს ხალხთა ლიგა არსებითად განსხვავდება იდეალურ ხალხთა ლიგისაგან, რომელიც ზავის მოდარაჯე კავშირი **უნდა იყოს, რომელიც დემოკრატიის ხელით და დემოკრატიისთვის უნდა არსებობდეს აუტოკრატიის ნანგრევებზე და ყოველივე შესაძლებელ აუტოკრატიის წინააღმდეგ.**

კლემანსო აღიარებს, რომ ამერიკა, ინგლისი, საფრანგეთი, იტალია, ერთად ყოფილიყვნენ, ომი არ იქნებოდაო, ეს იცოდა კლემანსომ 1913 წელსაც, ეს იცოდა მთელმა ევროპიულმა დიპლომატიამ, მაგრამ ეს არ მოხდა, არ მოხდა იმიტომ, რომ აუტოკრატიულ რუსეთს, პრუსიის იუნკერებს და ევროპის კაპიტალისტებს ომით უნდოდათ ევროპის დემოკრატიის დასუსტება, ომი ხომ ძველი იარაღია გაბატონებულთა ხელში, ერთგვარი მეხთამრიდი გრიგალის მოლოდინში

ფილ. დოქტ. კ. გამსახურდია.

(დასასრული იქნება)

(* იხ. „ერთობა" №№ 232, 233, 235.

✦ მთავრობის თავმჯდომარემ შემდეგი შინაარსის დეპეშა მიიღო: „ქართველ ერის გაპოლარებულ ბელადს. დავივიწყეთ რა თავი ქონსიან რუსეთს, ჩვენ, 20 უმაღლეს სწავლა დამთავრებულნი. ვესალმებით და გისურვებთ დღეგრძელობას. აღვითქვამთ მხნე დავუჯდეთ ჩავუდგეთ ჩვენს პატარა, სულით ძლიერს დემოკრატიულ საქართველოს. მონდობილობით ექიმები ჩხეიძე და მეძმარიაშვილი“.

✦ **ქართული თეატრი.** 19 ოქტომბერს, კვირას, დილის 11 საათზე, ქართულ კლუბის დარბაზში დამფუძნებელ კრების ხელოვნების კომისიის თაოსნობით შესდგება განსაკუთრებული კრება საქართველოში დრამატიულ ხელოვნების თანამედროვე მდგომარეობის გამოსარკვევად. მოწვეულნი არიან: ქართულ თეატრის თფილისში მყოფი ყველა რეჟისორნი, დრამატურგნი, დრამატიული საზოგადოების, დრამატიული სტუდიის, მსახიობთა კავშირის, სახალხო წარმოდგენების მომწყობ წრეების, მწერალთა, პრესის და სხვა კულტურულ საზოგადოებათა წარმომადგენლები. მოწვეულნი არიან აგრეთვე კოოპერატივთა და პროფესიონალურ კავშირთა ცენტრების წარმომადგენლები და სხ. მოხსენებას გააკეთებენ ბ. ბ. ა. ფალავა, გ. ჯაბადარი, ივ. გომართელი და გერ. ქიქოძე.

✦ **მისასალმებელი დეპეშა.** სახალხო გვარდიის მთავარ შტაბმა საგარეჯოდან მიიღო შემდეგი შინაარსის დეპეშა: „გარე-კახეთის სახალხო გვარდიელების წარმომადგენლების პირველი ყრილობა, ესალმება რა მის საუკეთესო ხელმძღვანელებს, მზათ არის იბრძოლოს უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ჩვენი თავისუფლების მტრების წინააღმდეგ. გვარდიას მაღლა უჭირავს საერთაშორისო პროლეტარიატის უმანკო სისხლში შეღებილი წითელი დროშა და მასთან ერთად იბრძოლებს სოციალიზმის განსახორციელებლათ. მშრომელი ხალხის საკეთილდღეოთ“.

✦ **სახალხო უნივერსიტეტი.** დღეს, სალ. 6 საათზე, სახალხო უნივერსიტეტის ქართულ განყოფილებებში დანიშნულია მორიგი ლექციები; 1 განყოფილება (ნაძალადევი) 1) ექ. ტურიაშვილისა „ჰიგიენა“. 2) ვ. კოტეტიშვილის „სოციოლოგია“. 4 განყ. (ორთაჭალა) 1) ალ. ჟორჟოლიანი „დას ვლ. ევრ. ისტორიიდან“. 2) ალშიბაია: „ჩვენი ქვეყნის სიმდიდრენი“.

✦ **ქართულ სამუსიკო საზოგადოების** გამგეობამ 29 სექტემბრის სხდომაზე დაადგინა გაიგზავნოს წარმომადგენელი ქუთაისში განყოფილების მდგომარეობის გამოსარკვევათ გამგეობას და სამუსიკო კოლეგიის შეერთებულმა სხდომამ სიამოვნებით მოისმინა რა კ. ანდრონიკაშვილის და ჟორჟოლიანის განცხადება „ფოლიაშვილის, ფოცხვერაშვილის და წუწუნავას მიერ სამუსიკო საზოგადოებაში თანამშრომლობაზედ სურვილის გამოცხადების შესახებ და ადგინა: ეთხოვოს ფოლიაშვილს და ფოცხვერაშვილს მიიღონ მონაწილეობა სამუსიკო კოლეგიის მუშაობაში, როგორც თანასწორმა წევრებმა, ხოლო წუწუნავა მოწვეულ იქნას გამგეობის წევრათ კოოპტაციის საშუალებით. ამასთანავე გამგეობა სთხოვს ამ პირებს დაესწრონ გამგეობის სხდომას, რომელიც დანიშნულია პარასკევს, 17 ოქტომბერს ქართულ სამუსიკო სკოლის შენობაში, სლეპცოვის ქუჩა № 4.

✦ **დეპეშა სოხუმის ქართველ საზოგადოებისგან.** ქართულ სამუსიკო საზოგადოების თავმჯდომარეს ანდრონიკაშვილს: „სოხუმის ქართველი საზოგადოება მოგესალმებათ თქვენ, როგორც საზოგადოების წარმომადგენელს, რომელმაც ასეთი ენერგიით მოჰკიდა ხელი მშობლიურ ხელოვნების განვითარების საქმეს. სალამი თქვენს მშვენიერს კაპელას, რომელმაც სოხუმში, გაგრაში და ფრონტზე დიდი შთაბეჭდილება დასტოვა. სალამი და მადლობა დიმიტრი არაყიშვილს და ილიკო აბაშიძეს. გამარჯვება თქვენს საქმეს. სოხუმის საზოგადოების მონდობილობით მიხეილ წულუკიძე“.

✦ **საჭიროა მასწავლებლები** მათემატიკის, რუსული სიტყვიერების, ახალი უცხო ენების (გერმანულის და ფრანგულის) საშუალო სასწავლებლებისათვის. მსურველებმა უნდა მიმართონ განათლების სამინისტროში საშუალო სასწავლებელთა მთავარ გამგეს.

✦ **„დედათა და ბავშვთა დაცვის საზოგადოება“** 17 ოქტომბერს თავის გასაძლიერებლათ ყულაბებით ფულს მოაგროვებს. ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს ფულის შეგროვებაში, ყულაბებს მიიღებს რუსთაველის ქუჩაზე, № 24, დილის 9—2 ს. და სალ. 5—7 ს. ქ. გაბაშვილთან.

✦ **მასწავლებელთა საყურადღებოთ.** წიგნის გამომცემლობა „მერანი“ სასწრაფოდ ბეჭდავს შემდეგ სახელმძღვანელოებს: 1) ალ. ჯანელიძე—დაწყებითი ფიზიკა; 2) ივ. გაჩეჩილაძე—თვალსაჩინო გეომეტრია; 3) ჩიმაკაძე და შუბლაძე—არ. ამოცანათა კრებ. I კლასის კურსი; 4) ხმალაძე—კრებული არითმ. ამოც. და რიცხვითი მაგალითებისა; ოთხი მოქმედება, 1 დან 20 მდი; 5) მისივე—არ. ამოც. კრ. ნაწ. I; 6) მისივე—არით. ამოც. კრებ. ნაწ. II; 7) შარაძენიძე და სვანაძე—ალგ. ამ. კრებული პირ. დაწ. სასწ; 8) უზნაძე—ძველი რომი. 9) ქუთათელაძე—ზოოლოგია; 10) ჩხენკელი—ბუნება; 11) მეცნიერება; 12) ფიზიკური გეოგრაფია; 13) ს. ხუნდაძე—ქართ. ლიტერ. სახელმძღვანელოები—ილია ჭავჭავაძე; 14) სვანიძე და შავარდნაძე—გერმ. ენ. სახ I კლ. კ.; 15) II კლ. კ.; 16) III კლ. კ.; 17) გრიმის ზღაპრები IV და V კლ.; 18) გაუფის ზღაპრები VI კლ.; 19) ნ. ლორთქიფანიძე—გერმანულ სახელმძღვანელო VII და VIII; 20) ჯ. ჯორჯიკია და თორაძე—ფრანგ. ენ. სახ. მეორე შევსებული და შესწორებული გამოც. I და II კლ. III—IV სახელმძღვანელოები ფრანგ. ენაზე.

✦ **ცეცხლი.** 14 ოქტომბერს, საღამოს ავჭალის წყალსადენს გაუჩნდა ცეცხლი. სასწრაფოთ გამოწვეულ იქნა ცეცხლის მქრობელი რაზმი, რომელმაც შესძლო ცეცხლის ჩაქრობა და ამით გადაარჩინა ახალი წყალსადენი, ხოლო ძველი წყალსადენი მთლად დაიწვა. ზარალი გამოურკვეველია. მდგომარეობის გამოსარკვევათ იქ გაემგზავრა ქალაქის თავი.

✦ **მისასალმებელი დეპეშა.** სახალხო გვარდიის მთავარ შტაბმა ზესტაფონიდან მიიღო შემდეგი შინაარსის დეპეშა: „შორაპნის მაზრის სახალხო გვარდიის ყრილობა, რომელიც შესდგა 12 ოქტომბერს ქალაქ ზესტაფონში, აღფრთოვანებით ესალმება ხალხის ნდობით აღჭურვილ დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობას და აღუთქვამს მას მთელი თავისი გონებრივი და ფიზიკური ძალით დახმარებას, უსურვებს მას უშიშრათ ამ საერთაშორისო ქარტეხილის დროს გაეტარებინოს ჩვენი მშრომელი ხალხის საიმედო გემი სამშვიდობო ნავთსაყუდელთან ჩვენი და საერთაშორისო დემოკრატიის საკეთილდღეოთ და სანეტაროთ. მას სწამს პროლეტარიატის ძლიერი ნება შრომის თავისუფლებისაკენ მიმართული“.

✦ **თფილისის საოლქო სასამართლოს** პროკურორის კანცელარიაში საჭიროა არის მანქანაზე მომუშავე ქალი, რომელმაც უნდა შესძლოს როგორც ქართულ ისე რუსულ მანქანაზე ბეჭდვა. მსურველი თანამდებობაზე მიიღება შეჯიბრების შემდეგ. კონკურსი დანიშნულია 16 ოქტომბერს აღნიშნულ კანცელარიაში. მსურველმა უნდა წარუდგინოს წინასწარ წერილობით, განცხადება პროკურორის მდივანს.

✦ **ქალ. თვითმართველობის** მუშა მოსამსახურეთა კავშირის აღმასრულებელი კომიტეტი ამით აცხადებს თავის კავშირის წევრების საყურადღებოთ, რომ მეცადინეობა ქართული ენის კურსებზე უკვე დაიწყო. 1, 2 და 3 ჯგუფი მეცადინობს ჭავჭავაძის ქუჩაზე, № 9, სამოქალაქო სასწავლებელში. პირველი ჯგუფის მეორე განყოფილება—პლეხანოვის პროსპექტზე და გერმანულ სამოქალაქო სასწავლებელში. არის აგრეთვე განყოფილება პირველი ჯგუფისათვის ქალაქის საავადმყოფოში. მეცადინეობა პირველ ჯგუფში ყოველ დღე, ხოლო მეორე და მესამე ჯგუფში კვირაში ოთხჯერ. სწავლა იწყება საღამოს 5 საათიდან.

**კრებები**

დღეს საღამოს ექვს საათზე დანიშნულია ს. ს. დ. მ. პ. მესამე რაიონის კოლექტივის მორიგი სხდომა.

— დღეს სალ. 6 საათზე, დანიშნულ ა მეოთხე რაიონული კოლექტივის მორიგი სხდომა.

**პროვინციის ქრონიკა.**

**თელავის მაზრა.** 10 ოქტომბერს ს. საბუის გვარდიამ დაატუსაღა თუშები, რომლებსაც მოჰყავდათ 90 ლეკური ცხვარი და 20 სული ძროხა. ცხვრები და ძროხები თუშებს მოტაცებული ჰყავდათ დაღესტნის ქისტ-ლეკებიდან და ნახევარ ფასათ ასყიდებდენ ყასბებს. საბუის გვარდიამ ცხვრები და ძროხები წარმოუდგინა თელავის სამაზრო ერობას.

— 9 ოქტომბერს ალაზნის ხიდთან ყაჩაღებმა გაძარცვეს 40-მდე მგზავრი. წაიღეს დაახლოვებით 200,000 მანეთი ფულათ და დიდძალი ნივთები ყაჩაღების რიცხვი 10 კაცისაგან შესდგებოდა. დაიჭირეს ერთი მცარცველთაგანი

— 7 ოქტომბერს საღამოთი ს. იყალთოში ყაჩაღებმა ხალხის წინ მოკლეს იყალთოს რაიონის მილიციის უმფროსი დ. ჩეკურიშვილი. ყაჩაღები თავისუფლათ მიიმალნენ.

# ტოროლა

ლამის მეხრეს მეძახიან,
პატარა ვარ, სულ პატარა;
მგოსანი ვარ, მზის მგოსანი,
თუმც არ ვმღერი წარამარა.

დილით ადრე, ხმის წკრიალით
ავფრინდები სწრაფად ცაში;
ვინც ყურს მომკრავს, გულში ამბობს:
გენაცვალე ჩიტო ხმაში!

მართალია, ლამეც მიყვარს,
ვარსკვლავებით მოჭედილი,
მეოცნებე ნაზი მთვარეც,
სიყვარულით ფერ-მიხდილი.

მაგრამ ტურფა გარიჟრაჟი,
მიყვარს, მიყვარს, იმას ვეტრფი,
მე რომ ეზხით მას უგალობ,
ძირს ყურს მიგდებს მთა და ველი!

—

# ირემი

ვნახე, მშვენიერ მშობლიურ მთაზე
იდგა ირემი ყელ მოღერილი;
მისი სინაზე და სილამაზე
იყო მხატვრული და მოხდენილი.

იდგა ლამაზად ის დიდებული,
მზის სხივთა სვეტი რქებს უშვენებდა;
უწყინარი და დამშვიდებული
ღრუბელთა დენას თვალს ადევნებდა.

ამ დროს ქვევიდან, მთის ფერდობიდან,
ესროლა თოფი მონადირემა,
გადმოსქდა სისხლი დაჭრილ მკერდიდან
და ჩაიჩოქა იქვე ირემმა.

არც კი აცალა სიკვდილის მზირალს,
რომ დაეხუჭნა ნათელი თვალი,—
ავარდა მთაზე და ცრემლით მტირალს,
შიგ გულში ჩასცა ბასრი ხანჯალი.

გ. ქუჩიშვილი.

**ს. გურჯაანი.** 8 ოქტომბერს, შუაღამისას ბოროტ მოქმედებმა გასტეხეს კოოპერატიული დუქანი. საქმის გამოსაძიებლად ჩამოვიდა სიღნაღის მაზრის კოოპერატივთა ინსტრუქტორი ი. მჭედლიშვილი. ზარალი დაახლოვებით 100,000 მან უდრის ეჭვით შეპყრობილია რამოდენიმე პირი, მათ შორის ორი ნოქარი დუქნისა.

**ზესტაფონი.** მიმდინარე წლის 20 ოქტომბერს, დილით კვირას, ქ. ზესტაფონში, დილის 10 საათზე, დანიშნულია შორაპნის მაზრის სახალხო მასწავლებელთა არა ჩვეულებრივი ყრილობა, რომელზედაც გაირჩევა ფრიად მნიშვნელოვანი კითხვები, დასწრება ყველა მასწავლებელთათვის სავალდებულოა.

**ბორჩალოს მაზრის** ერობის საადგილმამულო გამგეობისთვის საჭიროა საქმის მწარმოებელი, მდივანი და ინსტრუქტორი ჯამაგირი 1200—1800 მან

## საქართ. ახალგაზრ. მარქსისტთა ორგანიზაციებს

ამხანაგებო! ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა ახლო მომავალში მოიწვიოს სასწრაფო კონფერენცია სხვადასხვა სერიოზულ საშურ კითხვათა გასარჩევათ.

ჟურნალ „ახალი კვალის“ გასაახლებლათაც უკვე მიღებულია ზომები და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მიუხედავათ ათასგვარ დაბრკოლებათა, ჩვენ შევძლებთ მის გამოცემას ამ მოკლე ხანში. რომ საქმე არ შეფერხდეს, მოგმართავთ თქვენ სასწრაფოთ გადმოგზავნოთ: ცეკას ხვედრი პროცენტები, ჟურნალის ფონდის ფული და თქვენზე რიცხული ყოველივე ვალები.

ამისთანავე ცენტრალური კომიტეტი მოგმართავთ გააცხოველოთ იდეიურ-ორგანიზაციული მუშაობა და თუ თქვენ ხელს გიშლით უბინობა ან ხელმძღვანელთა უყოლობა, მიმართეთ დახმარებისთვის ადგილობრივ ს.-დ. კომიტეტებს.

ამას გარდა ყოველივე ორგანიზაცია ვალდებულია 31 ოქტომბრამდე მოაწოდოს ცეკას ვრცელი ცნობები ორგანიზ. მდგომარეობის შესახებ (კასის მდგომარეობა, წევრთა რიცხვი, სამეცადინო წრეთა რიცხვი და მათი მუშაობა.

31 ოქტომბრამდისვე, თუ ადრე არა, უნდა აუცილებლათ იქნას გადმოგზავნილი თქვენზე რიცხული ყოველივე ვალები.

ცენტრალური კომიტეტი.

## რკინის გზელთა ყრილობისათვის

**თფილისის რკინის გზის რაიონი**

11 ოქტომბერს თფილისის რკინის გზის პროფესიონალური კავშირის კომიტეტმა მოიწვია რაიონის მუშების და მოსამსახურეების საერთო კრება, რომელსაც დაესწრო დამფუძნებელი კრების წევრი ამხ. გრიგოლ ცინცაბაძე. კრება გახსნა რაიონული კავშირების თავმჯდომარემ ამხ. ი. გიორგაძემ. ვრცელ მოხსენებას აკეთებს ამხ. ილარიონ გიორგაძე. ის აცნობს, თუ რა სისტემით უნდა მოხდეს არჩევნები ყრილობაზე გასაგზავნ დელეგატებისა. არჩევნები მოხდება პროპორციონალური სისტემით.

შემდეგ მოხსენებას აკეთებს მიმდინარე მომენტზე და კერძოთ არჩევნებზე ამხ. გრიგოლ ცინცაბაძე. ილაპარაკეს აგრეთვე სხვებმაც. იყო შეკითხვებიც. ამხ. ცინცაბაძემ ყველას შესაფერი პასუხი გასცა. შემდეგ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის სრულიად თფილისის რკინის გზის რაიონი ადგენს რაიონიდან შემდეგ სიას ყრილობაზე გასაგზავნ კანდიდატებისას, სია № 1

1) ილარიონ გიორგაძე
2) თეოფილე მეგრელიშვილი,
3) რაჟდენ სალუქვაძე,
4) ივლიანე ნიკოლაშვილი,
5) ერასტო დვალიშვილი,
6) გრიგოლ ცინცაბაძე.
7) ნოე დოლიძე.
8) ევნატე გელენიძე,
9) შაქარიშვილი,
10) ილიკო გაჩეჩილაძე,
11) დიმიტრი ბაცანკალაშვილი.

მათ კანდიდატებათ: 1) მამუკაშვილი, 2) პავლე გძელიძე. 3) იოსებ მეგრელიშვილი.

ხადგურის კორესპონდენტი.

## სასოფლო-სამეურნეო კურსები (მიწად-მოქ. სამ.).

ყველასათვის აშკარაა, თუ რამ გამოიწვია ამ კურსების დაარსება, მიმდინარე წლის თებერვლიდან ეს კურსები მოქმედობს. ამ კურსებს დიდის იმედის თვალით შეჰყურებს მიწად-მოქ. სამინისტრო. ეს კურსები გახლავთ ჯერჯერობით 1 ნახ. წ. პირველ სემესტრში იკითხებოდა ზოგადი საგნები ე. ი. ის საგნები, რომლებსაც გადიან უნივერსიტეტში I და II კურსში, აქ მხოლოდ—ცოტათ შემოკლებით. ამ კურსებზე თავიდანვე ჩაეწერა 156 მსმენელი. ამათში 119 იყო სტუდენტი და 37 თავისუფალი მსმენელი. არიან უნივერსიტეტ კურს დამთავრებულნი, მეორე კურსიდან, III დან, I დან, ქართ. უნივერსიტ. სამეურნეო დარგიდან, პოლიტეხნიკუმიდან და ახალი სტუდენტები. აქედან აშკარაა, თუ როგორი ხალხი ყოფილა ამ კურსებში.

გასულ სემესტრში ლექციებს კითხულობდნენ ჩვენში ცნობილი პროფესორები: მელიქიშვილი, ციტოვიჩი, მაქსიმოვი, მიშჩენკო, იუზბაშიანცი და სხვა. მაისიდან აქვე დაარსდა აგრონომიული სამეცნიერო წრე, რომელშიც ხელმძღვანელობდნენ აგრონომ. სპეციალისტები: იკითხებოდა ლექციები, რეფერატები. აგრ. სამეც. წრე შესდგებოდა რამოდენიმე სექციებისაგან: ეკონომიური, საზოგადოებრივი და სხვა.

მეორე სემესტრის ლექციების კითხვა დაიწყო 29 სექტემბერს. ლექციები ჩვეულებრივათ საღამოობით კითხება.

**კურსების უფლება.**

თავიდანვე კურსები უფლებრივად არ იყო ჩამოყალიბებული. ეს უფლებრივი საკითხი ჯერ კიდევ მარტში იქნა წამოყენებული ერთი სტუდენტის მიერ, მაგრამ მსმენელებისაგან უყურადღებოდ იქნა დატოვებული. ამის შემდეგ განვლო დრომ, ატმოსფერა შეიცვალა და ეს საკითხი მომწიფდა მსმენელებში და თვით, როგორც გავიგეთ, კურსების დირექტორსაც როლლოვსაც უჩვენოდაც განუზრახავს ამ კურსებისათვის უფლების მოპოვება და სწავლის გაფართოვება. ეს პროცესი დააჩქარა ქართულ უნივერსიტეტში აგრონომიულ დარგის გახსნამ და ზოგიერთი პირების საქციელმა, რომელნიც ეწეოდნენ აგიტაციას ამ კურსების წინააღმდეგ. მსმენელებში გაიგონებდით: „კაცო, დავღუპულვართ, ჩვენი კურსები არავითარი უფლებას არ იძლევაო, იქ თამაშობა არისო და სხვა“. გამგეობის წევრებს მოსვენება არ ქონდათ ასეთი შეკითხვების გამო. მსმენელები მოითხოვდნენ სასწრაფოდ საზოგადო კრების მოწვევას.

3 ოქტომბერს, ამა წელს ლექციების შემდეგ მოხდა ამავე კურსების მსმენელთა კრება მთავარი საკითხი ამ კრებისა იყო **კურსების უფლებრივი საკითხი.** მომხსენებლად გამოვიდა ამხ. ვლ. ცაგარეიშვილი, რომელმაც დაასურათა ჩვენი კურსების წარსული, აწმყო და მომავალი და მოითხოვა კურსებისათვის უფლება. ამის შემდეგ ილაპარაკა პ. დანელიამ, რომელმაც ხაზი გაუსვა კურსებისათვის ფართო საზოგადოებრივი უფლების მოპოვებას და კურსების ვადის გაგრძელებას მანამდის, სანამდის ეს საკმარისი იყოს კურსების უფლების მინიჭებისათვის. ორატორები ეყრდნობოდენ რეალურ ფაქტებს, მაგ. უმაღ. იურიდ. 2 წ. კურსები; უმაღ. ფრანგ. პედ 2 წ. კურსებ ; უმაღ. საინჟ. სასწ. და სხვა. ბოლოს აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ მიღებულ იქნა ასეთი დადგენილება: „კურსებს მიეცეს სრული სახელმწიფოებრივი უფლება და გაგრძელებულ იქნას ვადა სწავლისა მაქსიმუმამდე“. ეს მიღებულ იქნა ერთხმად შემდეგ არჩეულ იქნა დელეგაცია სამი კაცისაგან შემდგარი: 1) ჭავჭავაძე (ქიმიკოსი, საბ. მეტყ. ფაქ. კურს დამთავრებული); 2) ქ. ცქიტიშვილი და შ. გულისაშვილი, დირექტორ როლლოვთან. მეორე დღეს დელეგაცია წარუდგა კურსების დირექტორს როლლოვს. ბ-ნი როლლოვი დელეგაციის მოხსენებას შეხვდა დადებითად. მას უთქვამს, რომ კურსების უფლების შესახებ მინდოდა აღმეძრა საკითხი მე-3 სემესტრიდან, ვინაიდან მაშინ გვეცოდინებოდა, თუ რამდენი დარჩებოდა კურსის დამთავრებამდე კურსებში და ვინაიდან ასეთი გადაწყვეტილება გამოუტანია თვით მსმენელთა საზოგადო კრებასო, მე ყოველივე ღონეს ვიხმარ, აღვძრავ შუამდგომლობას მინისტრის წინაშე და შემდეგ შესატანად მთავრობაში, ოფიციალურად აგრონომის წოდებას უფლებაზეო; კურსების ვადის გაგრძელება მოხდება ასეო. პირველ აპრილამდის გათავდება ლექციების კითხვა, შემდეგ აპრილიდან იქვს თვეს, ე. ი. პირველ ოქტომბრამდე პრაქტიკული მუშაობა მამულებში და პირველ ოქტომბრიდან პირველ იანვრამდე ისევ ლექციების კითხვაო. ხოლო პირველ იანვრიდან 1920 წლ. სახელმწიფო მამულებში მუშაობა 1 წლით, რის შემდეგ ასეთი პიროვნება მიიღებს აგრონომის წოდებასო. ამ 2 კვირის შემდეგ ამ საკითხს მოვაგვარებთო.

იმ საღამოს ლექციების შემდეგ დანიშნული იყო წინანდელი კრების გაგრძელება. ამ კრებაზე ამხ. ქ. ცქიტიშვილმა გააკეთა მოხსენება, რომელმაც გააცნო კრებას საქმის ვითარება. მსმენელებმა ისევ დაავალეს ამავე დელეგაციას, რომ რაც შეიძლება სასწრაფოდ ოფიციალურად იქნას კურსების უფლების საკითხი მოგვარებული. როგორც ვიცით, კურსები იქნება უფლებრივად აღჭურვილი და ამით კურსების მოწინააღმდეგეთ ლაგამი ამოედოთ. ამრიგათ კურსები იქნება 3 წლიანი უმაღლესი.

ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ ჩვენს კურსებს საქ. მთავრობა გაუწევს სათანადო ანგარიშს და უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს სახით დააკანონებს უმაღლეს სასოფლო-სამეურნეო კურსებად. და აღჭურვილი იქნება მთავრობის უფლებებით, ამას მოითხოვს დემოკრატიული პრინციპი და ამით ამ კურსების სტუდენტებს გაუორკეცებს ენერგიას, გამოიწვევს მათში ენტუზიაზმს და რამდენიმე ხნის შემდეგ შეუდგებიან საპასუხისმგებლო მოვალეობის ასრულებას საქართველოს დემოკრატიის სასარგებლოდ, რომელსაც ასე სჭირია აგრონომები ნორჩი რესპუბლიკის მეურნეობის აყვავებისათვის.

სტუდ. პ. პაპაშვილი.

**პასუხი კ. ციმბირელს**

„ერთობის № 233-ში მოთავსებული წერილი „რკ. მუშის კ. ციმბირელის“. სხვათა შორის ის [illegible] ეხება ჩემს პიროვნებას და ბრალს მდებს, ვითომ მე [illegible] უბედურობაში, რასაც მისი სიტყვით ალაგი აქვს რკინის გზის საავათმყოფოში.

„კ. ციმბირელი“ ვგონებ, შეუგნებლათ იმ პიროვნებების მომხრეთ გამოდის, რომელნიც ყრილობისათვის ამზადებენ თავის გამარჯვებას. მაგრამ საკვირველი ის არის, რომ საქმის ნამდვილი მდგომარეობა მას არ გაეგება.

„კ. ციმბირელი“ ბრძანებს: „იქ შექმნილი კამარილის წყალობით, რომელსაც აწარმოებენ გიორგაძე და ბუჭში, ცუდი შედეგები აქვს და ამას ნაკლებ ყურადღებას აქცევს ბ-ნი ზანდუკელი. ეს ორი პიროვნება, კომისიის დადგენილების თანახმად გადაყვანილი უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ ზოგიერთ ცენტრალურ კომიტეტის წევრების წყალობით (მგონია ცენტრ. გამგეობის) ადგილიდან ვერ დასძრეს. მათი წყალობით ბევრი უდანაშაულო დაისაჯა: ზოგი ჩამოაყენეს, ზოგი დაითხოვეს, ისეთ პირს, რომელსაც არავითარი ცოდნა არ აქვს ადგილი აქვს საავადმყოფოშიო“ და სხ...

პირადათ გიორგაძე, თუ გნებავს ამხ. „ციმბირელო“, ყველა ასეთ პიროვნებას ებრძოდა: ქურდებს (გაიხსენეთ ბ. დონდუასაგან ყალბი საბუთებით მიღებული 500 მან.), საქმის არამცოდნეთ (გაიხსენეთ გ. წ—ნი, ლობჟანიძეს ქალი და სხვა ბევრი ასეთები) თეთრეულების სისტემატიურად დაკარგვა დიდძალი რიცხვის (გაიხსენეთ ქალების განყოფილება!) უდიერობა და ავადმყოფთადმი უყურადღებობა (გაიხსენეთ დათხოვნილი კარიაული და სხვები). გაზეთის საშუალებით ყველა იმ არგუმენტების აღნუსხვა შეუძლებელია ამხ. „ციმბირელო“. გიორგაძე ებრძოდა არამკითხეთ (ლალიაშვილი, ჯაია და სხვები) ყოფილ სპეკულიანტებს და ქურდებს სამსახურში ღებულობდნენ სწორეთ ის პირები, ვინც „ციმბირელი“-ს სიტყვებით „ჩამოყენებულნი“ ბრძანდებიან. თუმც ამათ არც უფლება ჰქონდათ და არც ვინმეს დაუვალებია იმათი დათხოვნა. სამსახურში ამაღლება, ჩამოყენება და მიღების ფუნქცია მე კი არ მეკუთვნოდა, არამედ არსებულ საექიმო სასანიტრო საბჭოს, რომლის წევრებათ ცენტრალურ გამგეობების წევრები და უფროსი ექიმი ამხ. შატილოვი და საავადმყოფოს გამგე ბ-ნი ზანდუკელია. ეს კოლლეგია მოსამსახურეთ სასჯელს აძლევდა სასტიკი გამოძიების შემდეგ. ამათ ჰქონდა დავალებული სამსახურში მიღება დათხოვნა.

ასეთ პირობებში „გიორგაძეს კამარილს“ რა ალაგი უნდა ჰქონდეს ამხ. „ციმბირელო“?

ყოფილი საექიმო სასანიტარო განყოფილების საქმის მწარმოებელი ნოე გიორგაძე.

## ამიერ-კავკ. კოოპერატივ. კავშირის მე-5 ყრილობა

**მეოთხე დღე, 12 ოქტომბერი.**

თავმჯდომარეობს ის. რამიშვილი.

ამ სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. ი. რამიშვილის მოხსენება. მოხსენება ორ ნაწილისაგან შესდგება. პირველი ნაწილი, რომელიც ცალკე დაიბეჭდება ჩვენს გაზეთში, შეეხებოდა მრეწველობის განვითარების მნიშვნელობას და კოოპ. კავშირისაგან ამ მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯებს ზოგადათ, მეორე ნაწილი კი—ეხებოდა დაწვრილებით წარმოების მდგომარეობას სხვადასხვა დარგში.

**მიმდინარე 1919 წ. ხარჯთ აღრიცხვა.**

მომხსენებელია ვლ. კორძაია. მექანიკური სახელოსნოები შეიცავს 8 თვის გეგმას. ხარჯი შეადგენს—357,358 მან., შემოსავალი—362,000 მან. მოგება დარჩება სახელოსნოებისაგან 4,641 მან

სტამბამ მუშაობა დაიწყო 10 თებერვალს 1919 წ. ამ ხნის განმავლობაში შემოსავალი შეადგენს—413,782 მ , გასავალი—401,191 მან. მოგება ნავარაუდევია 12,591 მან.

ძეხვის ქარხნის მუშაობა იწყება 1 ნოემბერს 1918 წ. შემოსავალი შეადგენს ამ ხნის განმავლობაში 1,462,026 მან. გასავალი 1,452,208 მან. მოგება—9,821 მან.

გორის საკონსერვო ფაბრიკის მოქმედება დაიწყო დაახლოვებით მაისიდან 1918 წ., ხარჯთ აღრიცხვა იმ ხნიდან არის შედგენილი. სულ ხარჯთ აღრიცხვა უდრის 850,000 მან., მოგება უნდა დარჩეს 37,500 მან.

საპნის ქარხანამ მოქმედება დაიწყო 1 ნოემბერს 1918 წ., ხარჯთ აღრიცხვა შეიცავს 14 თვის გეგმას, შემოსავალი უდრის 4,551,270 მან., გასავალი 4,042,857 მან. მოგება ნავარაუდევია 508,413 მან.

სავაჭრო და არა სავაჭრო განყოფილებების და შემსყიდველ პუნქტების ხარჯთაღრიცხვა შემდეგია შემოსავალი—7,065,450 მან., გასავალი—6,864,082 მან., აქედან მოგებას შეადგენს—201,367 მან.

სულ ყველა დარგის შემოსავალი უდრის 14,742,029 მან., გასავალი—13,967,694 მ ნ. მოგება—774,335 მან.

შემდეგ მოხსენება გააკეთა ა. ლახკუტოვმა, რომელმაც შემდეგი თეზისები წამოაყენა; 1) გადიდებულ იქნას საპაიო კაპიტალი. 2) წინადადება მიეცეს ყველა მოკავშირე კოოპერატივებს, რომ, რაც შეიძლება მოკლე ხანში წარმოადგინონ ცენტრალურ კავშირში თავიანთი ვალები. 3) რაიონული კავშირების ვალებზე შეწერილ იქნას 10 პროცენტი. 4) აღძრულ იქნას შუამდგომლობა ფინანსთა მინისტრის წინაშე, რომ მან კერძო ბანკებს ნება დართოს აწარმოვონ აქტიური ოპერაციები კოოპერატივთა ცენტრალურ კავშირთან:

ამ მოხსენებათა გარშემო გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ტყავაძემ, პ. დადვაძემ და წერეთელმა. პირველმა მიუთითა გამგეობას საქონელზე შეწერილ 15 პროც. სიდიდეზე და სურვილი გამოსთქვა, რომ მომავალში ცენტრ. კავშირის გამგეობამ უფრო ნაკლები პროცენტები შეაწეროს საქონელზე. პ. დადვაძემ კი ყურადღება მიაქცია სისტემის უქონლობას, როგორც სავაჭრო, ისე არა სავაჭრო დარგში. ის მოითხოვს, რომ შემდეგში სავაჭრო, სამრეწველო პოლიტიკა იქნას წარმოებული განსაზღვრული სისტემის მიხედვით. შემდეგ ის არდგენს რეზოლიუციას, სადაც ამტკიცებს ხარჯთაღრიცხვას და კონკრეტიულათ უჩვენებს მომავალი მოქმედების გეგმას. შემოსულია მეორე ზოგადი ხასიათის რეზოლიუცია. ყრილობამ დაადგინა: რეზოლიუციების გამოტანა გადაიდოს შემდეგი სხდომისათვის.

**მეექვსე დღე 13 ოქტომბერი.**

თავმჯდომარეობს **ის. რამიშვილი** ყრილობა იწყებს რეზოლიუციების განხილვას. მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: „ყრილობამ მოისმინა რა მოხსენებანი 1919 წ. ხარჯთ აღრიცხვის და სამოქმედო გეგმის შესახებ, წარმოდგენილ ხარჯთ აღრიცხვას ამტკიცებს, გეგმას იწონებს და ავალებს გამგეობას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მრეწველობის გაძლიერებას და მის ჯეროვან დონეზე აყვანას.

ყრილობამ ვალების შესახებ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: რაიონული კავშირები და კოოპერატივები ვალდებულნი არიან შემოიტანონ თავიანთი ვალები 3 თვის განმავლობაში, ვალის განაწილება მიენდოს გამგეობას, და თუ აღნიშნულ ვადაში მოვალეები არ დაფარავენ თავის ვალს, იხდიან 10 პროცენტს. შემდეგი ზომების მიღება ვალების ასაღებათ ევალება გამგეობას.

**ბანკის დაარსების შესახებ.**

ამ საკითხზე სიტყვას ამბობს თ. ღლონტი, რომელიც აღნიშნავს ბანკის დაარსების აუცილებელ საჭიროებას და მოითხოვს, რომ მიღებულ იქნას საბჭოს შემდეგი წინადადება: დაევალოს ცენტრალურ კავშირს, რომ მან ეხლავე შეიძინოს 300 ათასი მანეთის აქციები და შემდეგში კი 1 მილ. მან.

ევგ. დარჩია ამტკიცებს, რომ პრინციპიალურად ბანკის დაარსების წინააღმდეგ არავის არაფერი აქვს, რაც შეეხება ღლონტის მიერ შემოტანილ წინადადებას, რომ 300 ათასი მანეთი ეხლავე შეიტანოს ცენტრალურ კავშირმა, ამის განხორციელება შეუძლებელია, ეს შეაფერხებს კავშირის მოქმედებას. ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ დავავალოთ ყველა კოოპერატივებს შეძლების დაგვარად შეიძინონ აქციები.

ამ საკითხზე მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: საქართველოს კოოპერატიული ბანკის დაარსებას ყრილობა სასურველათ სცნობს და ავალებს ყველა კოოპერატიულ დაწესებულებებს დაჩქარებით შეიძინონ აქციები, რომ ბანკმა ახლო მომავალში შესძლოს მოქმედების დაწყება.

შემდეგ მიღებულ იქნა დადგენილება ქუთაისის კავშირის განყოფილების გაუქმების შესახებ.

მოსმენილ იქნა აგრეთვე სამანდატო კომისიის წარმომადგენელ კანდელაკის მოხსენება. კომისიას განუხილავს სულ 413 მანდატი, აქედან უდაოთ უცვნია 342, დანარჩენიდან 51 რწმუნებულთა კოოპერატივები არ ყოფილან წევრათ ჩაწერილი ამიერ-კავკასიის კავშირში. 14 მანდატი ზედმეტი აღმოჩნდა. ერთი უბეჭდო და 4-ის პატრონთ საწევრო გადასახადი არ შემოუტანიათ. 51 მანდატი გაუქმებულ იქნა. 14 (ზედმეტი) კანონიერათ იქნა ცნობილი კენჭის ყრით, რადგანაც მათ სათანადო საქონლის რაოდენობა გაუტანიათ რაიონულ კავშირებიდ ნ. დანარჩენი 4 გაუქმებულ იქნა. სულ კანონიე ათ იქნა ცნობილი 358 მანდატი, გაუქმებულია 51, 4 მანდატის გამორკვევა მიენდო გამგეობას და სამანდატო კომისიას.

**ლ. დავითაიახ** (ს. დ.) წინადადება შეაქვს, რომ შესწყდეს მანდატის მიღება, რადგანაც მანდატებს ისეთ ხალხს ურიგებენ, რომლებსაც არავითარი საერთო არა აქვს კოოპერაციასთან და მათი მუშაობა ყოვლად უნაყოფო იქნება. ეს წინადადება მიღებულ იქნა.

# კოოპერატივების საყურადღებოთ

თვითმპყრობელობის დროს ძნელი იყო საზ. ორგანიზაციებისა და კოოპერატივების დაარსება, დღეს კი ამ უკანასკნელთ ფართე გზა გაეხსნათ და მათ დაარსებას წინ ვერავინ გადაეღობება. საჭიროა მხოლოდ თანხმობით მუშაობა, რომ ყველა ის იმედები, რომელიც კოოპერაციაზეა დამყარებული, გამართლებულ იქნას.

მომხმარებელთა კოოპერატივი უბრალო დუქანი არ არის, ის პირველ ყოვლისა, საზოგადოებრივი დაწესებულებაა და მისი გამგეობა ვალდებულია ყოველმხრივი ანგარიში გაუწიოს საზოგადოებას და სხვათა შორის, ყური ადევნოს სავაჭროში ბუღალტერიის სწორ წარმოებას.

ზოგიერთი მომხმარებელთა საზოგადოება არ იძენს საანგარიშო წიგნებს, არ იწვევს სამსახურში მოანგარიშეს, არ გზავნის თავის წარმომადგენელს ან მოანგარიშეს კოოპერატიულ კურსებზე. კოოპერატივები, რომლებიც ანგარიშისა და წიგნების წარმოებას არ აქცევენ შესაფერ ყურადღებას, მხოლოდ უკანასკნელ დღეს, კრიტიკულ მომენტში—მიმართავენ. კავშირს დახმარებისათვის და ინსტრუქტორებისა ან სხვა ვინმე ანგარიშის მცოდნე პირის გაგზავნას მოითხოვენ, მაგრამ ინსტრუქტორები, ვინაიდან მათ ბევრი სხვა საქმეები აქვთ, ყოველთვის ხომ ვერ შესძლებენ ასეთი კოოპერატ. თხოვნის შესრულებას!

გულწრფელმა კოოპერატორებმა ყოველი დონე უნდა იხმარონ ზემოთ აღნიშნულ ჩვენი კოოპერატივებისთვის ჩვეულებრივ, ნაკლის თავიდან ასაცილებლათ და არ დაზოგონ ამისთვის არც ხარჯი და არც მონდომება. უნდა ყოველმა კოოპერატივმა თავის ვალათ ჩასთვალოს, გაგზავნოს ერთი ან ორი კაცი მაინც მოკლე ვადიან კურსებზე, რომლებსაც ინსტრუქტორები აწყობენ თავ-თავიანთ რაიონებში; მალე ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირიც გახსნის თფილისში მუდმივ კოოპერატიულ სკოლას: ამითაც უნდა ისარგებლოს ყველამ, ვისაც კოოპერატიული საქმე და ცოდნა აინტერესებს. მანამ კი აქვე მოვიყვანთ იმ წიგნების და ბლანკების სიას, რომელიც საჭიროა ყველა კოოპერატივებისათვის, სადაც აწარმოებენ ანგარიშს ორმაგ ამერიკულ სისტემით.***)

1) ორმაგი ან სამმაგი ჩეკი, 2) ყოველთვიური და წლიური ანგარიშების ბლანკები, 3) საქონლის სიის ბლანკი, 4) შემოსავლის ორდერი, 5) გასავლის ორდერი, 6) საქონლის დღიური, 7) კასის დღიური, 8) მთავარი წიგნი (კასა მემორიალი), 9) პირადი ანგარიშის წიგნი, 10) ინვენტარის წიგნი, 11) საწევრო რესკონტრო, 12) საქონლის წიგნი, 13) გამგეობის სხდომის ოქმის წიგნი ნიმუშებით და სხვა. გარდა ამისა საჭიროა თვითეულ მომხმარებელ საზოგადოების წევრს თან ჰქონდეს საზოგადოების წესდება, საწევრო საანგარიშო წიგნაკი, საწევრო საქონლის წიგნაკი და აგრეთვე კოოპერატ. შინაარსის ყველა წიგნები, ბროშიურები, სახელმძღვანელოები და ჟურნალ გაზეთები. ამიტომ ამიერ კავკასიის კოოპერატივთა კავშირის გამომცემლობამ, რომლის მიზანია სისტემატიურათ გამოსცეს ქართულ ენაზე სხვადასხვა შინაარსის წიგნები, ბროშიურები და ჟურნალები, რითაც მეტი ყურადღება მიაქცია კოოპერაციის კულტურულ მხარეს, რომლის მნიშვნელობა დიდია კულტურულ ეკონომიურ და სოციალურ ცხოვრებაში—უკვე გამოსცა ყოველ თვიური საპოლიტიკო, სამეცნიერო, სალიტერატურო და საკოოპერაციო ჟურნალი „შვიდი მნათობი" და ყოველ-კვირეული „კავშირი". ჟურნალი „შვიდი მნათობი" მიზნათ ისახავს ეკონომიურ, პოლიტიკურ, მეცნიერულ და კოოპერ. პრაქტიკულ და თეორეტიულ კითხვების რაც შეიძლება სწორეთ გაშუქებას ფართე მასაში.

კავშირის გამომცემლობის გარდა საწარმოვო წიგნებისა და ბლანკებისა აქვს კიდევ, როგორც საკუთრათ გამოცემული ისე შეძენილი წიგნები და ბროშიურები ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე. ჩვენ ვიცით, რომ ყველა გამომცემლობისა და ამა თუ იმ ორგანოს არსებობა ყოველთვის დამოკიდებულია შეგნებულ კოოპერატორებისა და საერთოთ დემოკრატიის აქტივობაზე.

ამიტომ ჩვენი ვალია კოოპ. მოძრაობაში კულტურულ მხარეს მეტი ყურადღება მივაქციოთ და ყოველი ძალ ღონე ვიხმაროთ ყველამ კავშირის ორგანოს შეძენასა და გავრცელებაში.

ბ. ბუხუნაიშვილი.

***) ზემო აღნიშნული წიგნების შეძენა შეიძლება ამიერ კავკასიის კოოპ. კავშირში.

# ს.-დ. პარტიაში

თფილისი. 12 ოქტომბერს, მე-2 რაიონული კოლექტივის ბინაზე მოწვეულ იქნა. საქ. ახ. მარქსისტთა ორგანიზაციის. ამავე რაიონის წევრთა საზოგადო კრება. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ამხ. შ. ნუცუბიძე, მდივნად ილიკო მეგრელიშვილი საორგანიზაციო კომისიის სახელით მოხსენებას აკეთებს ამხ. პ. მეგრელიშვილი, რომელიც აცნობს კრებას კომისიის მუშაობას და აღნიშნავს, რომ ჯერჯერობით კომისიამ რეგისტრაციაში გაატარა მხოლოდ ასოცი წევრი. პროფესიით ისინი ამგვარად იყოფება: უმრავლესობა მოწაფეები არიან, შემდეგ მუშები და ჯარისკაცები. მოხსენების შემდეგ იყო შეკითხვები, რომელზედაც მომხსენებელმა დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცა. მოხსენება კრებამ მიიღო და გადავიდა მორიგ კითხვაზე—არჩევნებზე დროებით რაიონულ კოლექტივში წევრებად არჩეულ იქნენ შემდეგი ამხანაგები: ა. დარიანცი, პ. მეგრელიშვილი, აბაშიძე, გაბრიელოვი, პ. ჯიქია. კანდიდატებად ქუონია და ჭინაძე. კრებამ მისცა კოლექტივს უფლება კოოპტაციის საშუალებით მიიწვიოს მცირე კოლექტივების წარმომადგენლები. მოხდა ახლად არჩეული კოლექტივის სხდომა. აირჩიეს: თავმჯდომარედ ა. ტარაიანცი, ამხანაგად შ. ნუცუბიძე, მდივნად ი. მეგრელიშვილი და ხაზინადრად პ. მეგრელიშვილი.

მდივანი ი. მეგრელიშვილი.

კოხნარი (იმერეთი). ხუთ სექტემბერს მოხდა კოხნარის (ყოფილი ნანეიშვილისეული) თემის ს.-დ. კოლექტივის წევრთა კრება, რომელმაც იქონია მსჯელობა სხვადასხვა კითხვების შესახებ. კოლექტივმა მოისმინა კომისიის მოხსენება, რომელსაც მინდობილი ჰქონდა კოლექტივის წევრის ილარიონ მეფარიშვილზე გავრცელებულ ხმების გამოძიება. კომისიის მოხსენებით გამოირკვა, რომ გავრცელებული ხმები ყალბი ყოფილა და პირადი მტრების შეთხზული. ამიტომ კოლექტივმა სრული ნდობა გამოუცხადა ამხ. ილ. მეფარიშვილს, ხოლო ჭორიკანებს, რომლებიც გულს უცრუებენ პარტიულ მუშაკებს, სასტიკი პროტესტი გამოეცხადოთ. გადასწყდა: გადადგმულ იქნას კოლექტივის მიერ შესაფერისი ნაბიჯი, ბნელი ძალების ასალაგმავად, რომლებიც პროვოკაციის საშუალებით ჩირქს სცხებენ მომუშავე პარტიულ ამხანაგებს და შეაქვთ მუშაობაში დეზორგანიზაცია.

კოლექტივის თ—რე მასწავლებელი აქვს კორიფაძე, მდივანი მასწავლებელი

კ. ოხეფაიშვილი.

# მუშათა შორის

ფოთი. აქაური ხე ტყის ქარხნების მუშებთან არიან დაკავშირებული ლანჩხუთის ხე ტყის ქარხნების მუშები. მათ ჰყავდათ თავიანთი ადგილობრივი გამგეობა, რომლის საშუალებით იყო ძაფი გაბმული ჩვენსა და მათ შორის. ჩვენს გამგეობას დიდი იმედი ჰქონდა, რომ ხსენებული ქარხნის მუშები არ გადასდგამდენ დამღუპველ ნაბიჯებს. მაგრამ ფიქრები არ გამართლდა და ინტრიგამ, მიდგომ-მოდგომამ თავისი გაიტანა.

ამას წინათ გამგეობამ მიიღო დეპეშა, სადაც მწარმოებლები ბ. სიხარულიძის მეთაურობით, ითხოვდენ ფოთის გამგეობის ერთ წევრს დაჩქარებით ლანჩხუთში. გამგეობამ დააკმაყოფილა მათი თხოვნა და მე დამავალა წასვლა და საქმის გამორკვევა. ჩავედი თუ არა ბ. სიხარულიძე ვინახულე, როგორც დეპეშის ავტორი. დავეკითხე, თუ რაში იყო საქმე. მან მითხრა, მე იძულებული ვიყავი მიმემართა ფოთის გამგეობისათვის იმიტომ, რომ ჩვენი მუშები ურა ტაქტიკით გამოდიან. კავშირი და მუშური დისციპლინა მათში აღარ არსებობს, ყოველივე სისაძაგლეს სჩადიან. ჩვენ დაგვიკარგა ქარხანაში ფუთ ნახევარი აცინკოვანი სინა, მოვსთხოვეთ მუშებს, რომ მათ მიეღოთ ზომები დაკარგულის აღმოსაჩენათ, აირჩიეს კომისიები, იძიეს საქმე და როცა მიაგნეს კვალს, მაშინ რაღაც მოსაზრებით ოქმი დაკარგეს. შემდეგ ხელ მეორეთ იქნა კომისია არჩეული. მაგრამ დამნაშავე პირის მუქარამ გასჭრა და საქმე მიფუჩჩდა.

მეორე დღეს წავედი ადგილობრივათ ქარხანაში, აუხსენი მუშებს თუ რაზედ ვიყავი მისული და სხვათა შორის ისიც დაუმატე, შეიძლება არა ხართ მსურველი, რომ ვიძიო დავალებული საქმე. მათ მოილაპარაკეს და დამრთეს ნება, რომ დამეკითხა მუშებისათვის. მეც შეუდექი საქმეს და დავეკითხე თვითეულ მათგანს. გამოძიებიდან გამოირკვა, რომ მათ მართლაც აურჩევიათ კომისიები, მაგრამ როცა საქმე საქმეზე მომდგარა დამუქრების გამო გამოძიებისათვის თავი გაუნებებიათ. ყოველივე ეს დაწვრილებით გადავეცი ფოთის გამგეობას, რომელიც ამ ახლო მომავალში განიხილავს ამ საკითხს. არ შემიძლია არ ვუ ა ყვედრო ამხანაგებს საქმის ასე აბუჩათ აგდება და კავშირის გვერდის ახვევა. საჭიროა ახალი გამგეობა აირჩიონ მათ, რომელიც ღირსეულად გაუძღვება საქმეს.

**ხ. ხაფთახი.**

მუშათა კლუბების კონფერენცია. 12 ოქტომბერს შესდგა თფილისის მუშათა კლუბების კონფერენცია. დაესწრენ შემდეგი კლუბების წარმომადგენლები: ნაძალადევის, ვერის, ორთაჭალის, ერთობის უბნის, ავლაბრის, სახალხო უნივერსიტეტის, საბურთალოსი და ავჭალის აუდიტორიის. კონფერენციამ მოისმინა წესდების ტექსტი, რომლის განხილვაც გადასდო მომავალ კრებისათვის. მოისმინეს ავჭალის აუდიტორიის წარმომადგენელთა მოხსენება, რომელიც მოითხოვდა ზემოხსენებული აუდიტორია ეცნოთ, როგორც დამოუკიდებელი ორგანიზაცია და კლუბთა რიცხვში ჩაერიცხათ. გამოითქვა სურვილი ზუბალ. სახელობის სახალხო სახლიც კლუბთა რიცხვებს შეურთონ. დასასრულს მოისმინეს სახ. უნივერსიტეტის წარმომად. ს. ქორქოლიანის განცხადება, რომელმაც მოუწოდა კონფერენციას მიიღონ მონაწილეობა „დედათა და ბავშვთა დაცვის საზოგადოების" მიერ გამართულ დღეში. კონფერენცია ადგენს ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინოს ამ საზოგადოებას.

# პროვინცია

ახალ-სენაკის მაზრა. სოც. დემ. სამაზრო კომიტეტის მიერ მოწვეულ იქნენ მაზრაში ამხანაგები ი. გომართელი და ბ. თევზაია, რომლებმაც მაზრის სხვადასხვა პუნქტებში გააკეთეს მოხსენებები; გომართელმა დამოუკიდებელი საქართველო და საგარეო მდგომარეობა ბ. თევზაიამ უკრაინის მდგომარეობაზე. 4 ოქტომბერს გაიმართა მიტინგი აბაშაში, სადაც დაესწრო დ. აბაშის, კვათანის, ნაესაკოვოის და სუჯუნის საზოგადოება. შემდეგ მიტინგი იქნა მოწყობილი 5 ოქტომბერს ს. ონტოფოში; დაესწრო ს. აბაშის და სეფიეთის საზოგადოებები. 6 ოქტომბერს ქ. ახალ-სენაკში გაიმართა მოხსენებათა საღამო. 7 ოქტომბერს დილას ძველ სენაკში და საღამოს ნოქალაქევში. 8 ოქტომბერს მოეწყო ფართე მიტინგი ბანძაში, ლეხონდრავოს, ჯოლევის და აბდათის საზოგადოებების დასწრებით. 9 ოქტომბერს ასეთივე მიტინგი მოეწყო ნოღალევში და საღამოს გაიმართა ბანძაში ფასიანი მოხსენება.

ყველგან უამრავი ხალხი ესწრებოდა. ყველასათვის ირკვევა, რომ ფართე მასა სწვდება საქმეებით და ითვისებს დედა აზრს საქართველოს დამოუკიდებლობისას და მისი უმაღლესი მთავრობის მიერ წარმოებული საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის აუცილებლობას. მოხსენებით ყველგან დამსწრე საზოგადოება კმაყოფილი დარჩა.

რკინის გზებზე შექმნილ არა ჩვეულებრივი მდგომარეობისა და თანახმად უკანასკნელი განკარგულების სად. საჰილოდან ფოთამდე ყველა სადარაჯოებზე სდგას სამეგრელოს საოლქო შტაბის გვარდია, რომელიც თავის მოვალეობას პირნათლად ასრულებს; თუმცა ქონდა ბოროტმოქმედებას ადგილი მდინარე ტეხურის ხიდზე მყოფი დარაჯი გვარდიელების, გ. წულეისკირი და ვ. კიკაბიძეს მხრივ, რაც გამოაშკარავებულ ინა შტაბის მიერ და იქნა ბოროტმოქმედების წინააღმდეგ სათანადო ზომები მიღებული, ისინი გადაეცა მთავარ შტაბს დასასჯელად. აღსანიშნავია, რომ თითქმის ყველა სადარაჯოები შეკეთებას საჭიროებენ. რკინის გზის უმაღლესი ორგანო ვალდებულია მიიღოს ამ მხრივ ყოველგვარი ზომები დეფექტების მოსასპობათ.

ადგილობრივი (სენაკის) მილიცია ფხიზლათ ასრულებს თავის მოვალეობას, დეზერტირების წინააღმდეგ მიღებულია სასტიკი ზომები, რამაც შესაფერი ნაყოფი გამოიღო.

ამ მოკლე ხანში კომუნისტური პარტიის პროკლამაციების გავრცელების გამო დაპატიმრებულ იქნენ ლომიძე და ე. შუშანია.

ქ. სენაკში ერობის გამგეობის ინიციატივით გაიხსნა საოსტატო სემინარია, რომლის დირექტორათ დაინიშნა ვ. დემურია.

7 ოქტომბერს, ქ. სენაკში დიდის ზეიმით გახსნილ იქნა საქალებო გიმნაზია. წარმოითქვა სხვადასხვა დაწესებულების წარმომადგენლებისგან სიტყვები. დირექტორად დანიშნულია პედაგოგი მ. ზ. ნოდია. თავისუფალი ადგილები არის. მსურველებს შეუძლიათ მიმართონ შემდეგი მისამართით: სენაკის თვითმართველობა, ქალთა გიმნაზიისათვის. კ—ი.

# ცნობები

ჩემი ძმა დათიკო ივანეს ძე ფრუიძე (ლეჩხუმის მაზრის, სოფ. ალპანისის მცხოვრები), რომელიც მსახურებდა ხარკოვში 124 ვორონეჟის პოლკში, დაიკარგა უგზო უკვლოდ. 5 წელიწადი იმის შესახებ ცნობები არ მაქვს. ვთხოვ გერმანიიდან და ავსტრია-უნგრეთიდან დაბრუნებულ ოფიცრებს და ჯარისკაცთ თუ რამე იციან ჩემი ძმის შესახებ მაცნობონ: თფილისი, ჩერქეზიშვილის ქ. № 67, ალექსანდრე ფრუიძეს.


# განცხადებანი

## დაიკარგა

საქართველოს რესპუბლიკის ომში დაჭრილ დასახიჩრებულთა კავშირის საწევრო ბარათი № 119 სალუქვაძის სახელზე, რომელიც ჩაითვლება გაუქმებულად.
(2696—1—1)

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა **გ. ხ. მიხრანაშვილი**
შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში; ხასინჯვა და წამლობა Xს სხივებით, დიდი სალენოიდი და არსევალი, ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის, ღარიბებს უფასოთ ყოველ დღე დილის 8—12 საათამდე და საღამოს 6—9 ს. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92.

ექიმი **დ. მ. ჯავახიშვილი.**
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ დილით 8—9 ს-დის და საღამოთი 4—6 ს-დის. მიხეილის პროსპ. № 64. (საავათმყოფოს ახლოს) ტელეფ. 14—60. (თ.—2662.)

ექიმი **ა. ლევენშტეინი**
შინაგანი ავათმყოფობანი. ყოველმხრივი გამოკვლევა და ფიზიკური მეთოდებით აქიმობს გულის, ფილტვების, კუჭის და ჭაჭების ავათმყოფობათა. **რენტგენის სხივები.** კრილოვის ქ. სახლი № 5 გონიელოვისა, ბინა № 3. მიღება დილის 11—12 საათ. და საღამოს 4—8 საათამდე. (თ. 2642)

ექიმი **ნ. დ. ტუჩაიშვილი**
იღებს ავადმყოფთ შინაგან, ქალურ და საშვილოსნო სნეულ. მუდამ დღე 11—1 საათამდე, ნიკოლოზის ქუჩა № 7 ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით.

ექიმი **ა. დ. ძიძიშვილი**
სიფილისი და ვენერიული სნეულებანი. შეშხაპუნება „606" და „914" მიღება დილით 9—11, საღამოთი 4—6 ს. მიხეილის პროს. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ № 116. ტელ. 14—28.

მედიცინის დოქტორი
**ა. ა. მონხი.**
ნერვიული, შინაგანი და საბავშვო ავათმყოფობანი ელექტრო სხივებით მკურნალი კაბინეტი, ჰიპნოზი შთაგონება. ავათმყოფების მიღება დილის 10 ნახ.—1 საათამდე, საღამოს 6—7 საათ. კვირაობით და ხუთშაბათობით საღამოობით ავათმყოფები არ მიიღებიან. მიხეილის ქ. (პლეხანოვისპრ.) № 111 ტელ. 13—42.

დოქტორი **როზენბლუმ ვაიცი.**
სპეციალურად ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებიან ავათმყოფთ მიღება დილის 11—12 საღამოს 4—5 ნახ. საათ. გერმანელთა საქველმოქმედო საავადმყოფოში ნაბერეჟნაიას ქ. № 15 კვირა დღეების გარდა (2693—2—2)

კბილის ექიმი
**ი. მ. ზიზაური-ეხაძიახი**
იღებს კბილისა და პირის ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და საღამოს 4—7 საათამდე. გრიბოედოვის ქუჩა № 15 ბინ. 3. კონსერვატორიის მახლობლად.

დოქტორი **ი. ი. გამბურგერი**
სისხლის გამოკვლევა სიფილისიანზე (Wasserman'-ის რეაქცია) ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა დიფტერიზე, ტიფზე, გონოკოკზე და სხვ. პირადათ ნახვა დილის 8 ნახ.—10 ნახ. საათ- საღ. 5—7 საათ. დიფტერიტზე მიიღება დილის 8 საღ. 8 საათ. გრიბოედოვის ქ. № 11 ტელეფონი 16—82.

ექიმი **ბესარიონ ჭავჭავაძე**
მიიღებს განსაკუთრებით ყელის, ყურის და ცხვირის ავადმყოფებს ყოველ დღე 11—12 საათ. დილით, 5—7 საათ. საღ. მიხეილის პრ. 117, ტელ. 13—27.

ექიმი **ი. ჩიჯავაძის** ბაქტერიოლოგიური, სერო დიაგნოსტიური და ქიმიურ-მიკროსკოპიული **ლაბორატორია**
იღებს გამოსაკვლევად სისხლს: Wassermann-ის; Weinberg-ის, Widal-ის რეაქციები, სრული კლინიკური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა, მალარია, Opermeyer-ის სპიროქეტები და სხვა. შარდს, განავალს, ნახველს, რძეს, ლორწოს, ჩირქს, ხერხემლის ტვინის სითხეს, კუჭის სითხეს და სხვა. ამზადებს აუტოგენიურ ვაქცინას. 26 მაისის (ოლღას) ქუჩა. გაბაანთ შესახვევი № 3. მასალა მიიღება დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

ექიმი **ნ. ა. ზაზრანი**
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606" და „914". ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით მისამართი: ოლღას ქუჩა № 33

ექიმი **ლ. ა. ხარაძიძე.**
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ საღამოს 6—7 საათამდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87. ავჭალის აუდიტორიის ახლო.

დოქტორი **მ. გოლდშტეინი.**
თვალის ავათმყოფობანი .ამორჩევა სათვალეებისა. მიღება 8—12 საათამდე და საღ. 4—7 დე ნიკოლოზის ქ. № 32.

ექიმი ქალი **რ. ბ. შიშლო-სახაშვილი**
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან ქალის და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საბებიო დარიგებას სიფილისის წამლობა (606—914) დილის 10—12 ს. და საღამოს 5-6 ს. პლეხანოვის პრ. № 119, ტელეფონი № 9—26.

ექიმი **იოსებ რაჟდენის** ძე ცინცაძე
იღებს ვენერიულ სნეულ. ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათ. ყოველდღე. პლეხანოვის პრ. № 121, ბინა 4, ტელეფონი 11—06.

ექიმი **ა. ი. ძუთათელაძე**
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულ. ავადმყოფთ საღ. 5—7 საათ. გარდა კვირისა. მიხეილის პრ. № 55. ფოსტის პირდაპირ. ტელ. 10-46.

ექიმი **ლ. ი. ჯაშარიძე**
ღებულობს შინაგან, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულობით ავათმყოფებს დილის 12—1 ნახ. საათ. საღამოს 5—6 საათ. მისამართი: მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, ტელეფონი 16—65.

# სახელმწიფო თეატრი

(ოპერა ს. ი. ევლახიშვილის ხელმძღვანელობით)

ხუთშაბათს, 16 ოქტომბერს გლაზის, ზელინსკაია', სარაჯიშვილის, ინაშვილის, ისეცკის მონაწილეობით, პირველად ახალი გეგმით

# კარმენი

პარასკევს, 17 ოქტომბერს—ბალეტის სპექტაკლი. შაბათს, 18 ოქტომბერს—„ჟიდოვკა". (ნ. 1—1)

# ქართული ლატარია

სულ მცირე ხანი ღა დარჩა ლატარიის გათამაშებამდინ.

— —

ყველას მოქალაქობრივ ვალდებულებად უნდა მიაჩნდეს, რომ შეიძინოს ლატარიის ბილეთები. ამით ხელს შეუწყობს ქართულ უნივერსიტეტის და თეატრის საძირკვლის ჩაყრას.

— —

იყიდეთ ლატარიის ბილეთები. (ნ 1—1)

# სამხედრო სამინისტროს სტამბა

იწვევს სამ ახურში ფაქტორის თანამდებობაზე ხელობას კარგათ მცოდნე პირს. ასით აწყობის ცოდნა სავალდებულოა. პირობების შეტყობა შეიძლება სტამბის კანცელარიაში.

## ზედმეტი მსახური უფროსი ნაცვალი!!!

საჭიროა სტამბაში. მსურველს შეუძლია მიმართოს სტამბის უფროსს. ლორის მელიქოვის ქ. № 3. (2701—3—1)

—— იბეჭდება და პირველი ნოემბრისათვის გამოვა გასასყიდათ ——
საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა

# პირველი ყრილობის ოქმები

წიგნი იქნება დაახლოვებით 80—100 გვერდი და ეღირება კავშირებისათვის 12 მან., კერძო პირებისათვის კი 15 მან. წიგნების შეკვეთა შეიძლება მხოლოდ საქ. პროფ. კავშ. ცენტრ. საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში: თფილისი, რუსთაველის ქ., № 15, არამიანცის სახლი, მეოთხე სართული, მე-10 ოთახში. (ნ. 5—3)